პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

„КОМУНИСТИ" ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
10 სექტემბერი
1940 წ.
№ 210 (5911)
ფასი 10 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია ჩვენი საბრძოლო იარაღია

1938 წლის 9 სექტემბერს „პრავდაში" დაიწყო ბეჭდვა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიისა, „მოკლე კურსისა", რომელიც შედგენილია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის რედაქციით და მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ.

ყველას ახსოვს, თუ რა უდიდესი ინტერესით კითხულობდნენ ბოლშევიკური პარტიის შესანიშნავი ისტორიის ყოველ თავს ათეულ მილიონობით მშრომლები, რა ხარბად ელოდნენ თვითეული ახალი თავის გამოქვეყნებას. ბევრი, ვისაც მანამდე ვერ მოეხერხებინა პარტიის ისტორიის გაცნობა, პარტიის ისტორიას კითხულობდა პირველად იმის მეოხებით, რომ იგი იბეჭდებოდა „პრავდაში" და მაშინვე ფართოდ გავრცელდა. მშრომელთა წინაშე იშლებოდა მოვლენები მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური პარტიის ცხოვრებიდან, იშლებოდა წარმტაცი ფურცლები ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლისა მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ინტერვენტების წინააღმდეგ.

მშრომელები ბოლშევიკური პარტიის ისტორიის გამოცდილებაზე რწმუნდებოდნენ უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ „პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება შეუძლებელია პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის გარეშე, რომელიც თავისუფალია ოპორტუნიზმისაგან, შეურიგებელია შეთანხმებლებისა და კაპიტულანტების მიმართ, რევოლუციურია ბურჟუაზიისა და მისი სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ". სწორედ ასეთი პარტია იყო ბოლშევიკური პარტია. იგი ხელმძღვანელობდა მუშათა კლასისა და გლეხობის ორგანიზებულ მოძრაობას სოციალიზმისაკენ, ძლევამოსილ სოციალისტურ რევოლუციას და მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას. მისი ორგანიზატორები და ფუძემდებლები იყვნენ ლენინი და სტალინი — მუშათა კლასის, მშრომელი მასების ორი გენიალური ბელადი. მათ დაიმუშავეს რევოლუციის თეორიისა და პრაქტიკის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი. ისინი თანდათანობით ზრდიდნენ ბოლშევიკურ პარტიას, სწმენდდნენ მას ყოველგვარი ოპორტუნისტული სიბილწისაგან, ზრდიდნენ ბოლშევიკური პარტიის წევრებს ექსპლოატატორებისადმი შეურიგებელი სიძულვილის სულისკვეთებით, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. მათ შექმნეს **ახალი ტიპის პარტია**, ბოლშევიკური პარტია, რომელსაც შესწევს უნარი გაუძღვეს პროლეტარებს ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, რომელიც საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში, და საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წყალქვეშა ქვებს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

„მოკლე კურსის" ცალკე წიგნად გამოსვლის შესანიშნავი თარიღია 1938 წლის 1 ოქტომბერი.

სსრ კავშირის და სხვა ქვეყნების მშრომელთა მიერ გამოჩენილი უდიდესი ინტერესი ასახულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გავრცელების ციფრებშიც. წიგნი სსრ კავშირში გამოიცა (სრულიად-საკავშირო წიგნის პალატის 1940 წლის 1 ივლისის ცნობებით) სსრ კავშირის ხალხთა 53 ენაზე 16.184.900 ეგზემპლარის რაოდენობით. გარდა ამისა, იგი გამოიცა სხვადასხვა ქვეყნებში 28 ენაზე 1.200 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

რამ მიაპყრობინა ათეულ მილიონობით მშრომელ მასებს ყურადღება ბოლშევიკურ ცოდნათა ამ მოკლე ენციკლოპედიაზე? უწინარეს ყოვლისა — მდიდარმა იდეურმა შინაარსმა. თვითეული, ვისაც წაუკითხავს ეს წიგნი, ვისაც უსწავლია იგი, გრძნობს, თუ როგორ გაფართოვდა მისი ჰორიზონტი, რაოდენი ახალი და ღრმა აზრები დაებადა მას, როგორ ახლებურად ესმის ახლა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა და მათი მნიშვნელობა. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა გვინერგავს ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების, მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების მტკიცე რწმენას. ვინაიდან უძლეველია ეს ახალი მოძრაობა, რომელიც „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" გამოაცხადეს მარქსმა და ენგელსმა, წააწერეს რა „კომუნისტთა კავშირის" დროშას საბრძოლო ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის გავლენით მნიშვნელოვნად გაიზარდა მილიონობით მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის იდეური მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილებანი გაჩნდა იმის მეოხებით, რომ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" არა მარტო მკაფიოდ გადმოგვცემს უმნიშვნელოვანეს ფაქტებს, არამედ გვაძლევს ისტორიულ მოვლენათა ღრმა თეორიულ გაშუქებას, გვიღვიძებს თეორიულ აზრს, გვინერგავს გემოვნებას თეორიისადმი. პარტიის ისტორიის შემსწავლელი რწმუნდება, რომ „მუშათა კლასის პარტიას არ შეუძლია შეასრულოს თავისი კლასის ხელმძღვანელის როლი, არ შეუძლია შეასრულოს პროლეტარული რევოლუციის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი, თუ იგი არ დაუფლებია მუშათა მოძრაობის მოწინავე თეორიას, თუ იგი არ დაუფლებია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას".

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის გარდაქმნამ გამოიწვია პარტიისა და კომკავშირის მთელი პროპაგანდისტული მუშაობის გამოცოცხლება, მთელი ამ მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. გაჩნდა უდიდესი მოთხოვნილება კარგი ლექციისა, სტატიებისა, რომლებიც დაწვრილებით გადმოგვცემენ „მოკლე კურსში" გამოთქმულ მთელ რიგ დებულებებს.

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებმა თავიანთ ფურცლებზე ამ ორი წლის განმავლობაში ცოტა როდი მოათავსეს კონსულტაციები, ლექციები, თეორიული სტატიები, რომლებიც გვეხმარებიან მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხების შესწავლაში, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლაში. ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ისეთი მოთხოვნილება მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურაზე, ისე ხარბად ჯერ კიდევ არასოდეს არ უყიდნიათ ხოლმე ყოველი ახლადგამოსული ნაშრომი მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში, როგორც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მილიონობით ადამიანებმა ამ წლების განმავლობაში დამოუკიდებლად შეისწავლეს და სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" და მარქსიზმის კლასიკოსთა ძირითად ნაწარმოებებს. ეს შესწავლა მილიონობით ადამიანებს აძლევს ისეთ ცოდნას, რომელიც, უეჭველია, გამოჩნდება და უკვე იჩენს თავს მათს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ფრიად სერიოზულად მისი გაუმჯობესების აზრით, მთელი მუშაობის პერსპექტივების გაგების აზრით. განსაკუთრებით ეს ემჩნევა ხელმძღვანელი კადრების მუშაობას, რომლებიც ჩვენი პარტიის ისტორიული გამოცდილებიდან თავიანთთვის დიდმნიშვნელოვან მითითებებს იღებენ.

ამას ხელს უწყობს ისიც, რომ პარტიის ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კურსი უმაღლეს სასწავლებლებში შესწავლის აუცილებელ საგნად იქცა. ამხანაგი სტალინი არაერთხელ მიგვითითებდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ცოდნით, საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ცოდნით პირველ რიგში უნდა შევაიარაღოთ საბჭოთა ინტელიგენციის კადრები. პარტიის ისტორიის შესწავლა გვეხმარება ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, ოპორტუნიზმის ყველა სახესთან ბრძოლის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობის გაგებაში. პარტიის ისტორიას რომ შეისწავლიან, მშრომელებს ესმით, თუ რისთვის იყო საჭირო ასეთი შეურიგებელი ბრძოლა ოპორტუნისტებთან ბოლშევიკური პარტიის რიგებში, რა მნიშვნელობა ჰქონდა კაპიტულანტების განადგურებას მუშათა კლასის რიგებში, ვინაიდან მხოლოდ ამ ბრძოლამ და ამ განადგურებამ შეუწყეს ხელი პარტიის მთლიანობის შენარჩუნებას, მის რიგებში რკინისებური დისციპლინის შენარჩუნებას, დაეხმარენ მას შეესრულებინა თავისი როლი პროლეტარული რევოლუციის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისა, როლი ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებელისა.

ამ ორი წლის განმავლობაში სსრ კავშირში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები მოხდა. საბჭოთა კავშირს შეემატა ხუთი ახალი საბჭოთა რესპუბლიკა და მისი მოსახლეობა 23 მილიონი ახალი მოქალაქით გადიდდა. ამ ახალმა მოქალაქეებმა უნდა აითვისონ საბჭოთა კავშირის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს ოცი წელზე მეტი ხნის არსებობის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება. წარმატებანი მრეწველობის დარგშიც, სოფლის მეურნეობის დარგშიც, კულტურის დარგშიც და განსაკუთრებით სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დარგში ჭეშმარიტად კოლოსალურია. მაგრამ ეს წარმატებანი თავბრუს ვერ დაახვევენ სსრ კავშირის მშრომელებს. თვითეული მშრომელი ბოლშევიკური პარტიის მაგალითზე ხედავს, თუ რა ღრმა, სერიოზული კრიტიკით უდგება პარტია ყოველი ორგანიზაციის, ყოველი მუშაკის ნაკლოვანებებს, თუ რა აშკარად მიუთითებს იგი შეცდომებზე, აშკარად ასწორებს მათ.

თვითეული მშრომელი ხედავს, რომ ბოლშევიკური პარტიის ძალა მდგომარეობს მის იდეურობაში და მის ფართო კავშირში მშრომელთა მილიონიან მასებთან. ლენინი და სტალინი ყოველთვის ასწავლიდნენ პარტიას, რომ „მასებთან ფართო კავშირის გარეშე, ამ კავშირის მუდმივად განმტკიცების გარეშე, მასების ხმისათვის ყურის დაგდებისა და მათი მტკივნეული საჭიროების გაგების უნარის გარეშე, იმისათვის მზადყოფნის გარეშე, რომ არა მარტო ასწავლო მასებს, არამედ კიდეც ისწავლო მასებისაგან, — მუშათა კლასის პარტია არ შეიძლება იყოს ნამდვილად მასობრივი პარტია, რომელსაც შესწევს უნარი გაიყოლიოს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მილიონები".

მაგრამ სწორი არ იქნებოდა დუმილით აგვევლო გვერდი იმისათვის, რომ პარტიის წევრთა და კანდიდატთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცის თავისი პარტიის ისტორია, არ სწავლობს მას ან სწავლობს მეტისმეტად ნელა. რაიკომებისა და სხვა პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკებს შორისაც კი ჯერ კიდევ შევხვდებით ისეთ ამხანაგებს, რომლებსაც ვერ მოუცლიათ იმისათვის, რომ პარტიის ისტორიის შესწავლაში გასცილებოდნენ მე-3 თავს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი, სოციალისტური პროლეტარიატის უმდიდრესი გამოცდილების — კომუნისტური პარტიის ისტორიის — დაუფლებისადმი ასეთი უგულებელყოფელი დამოკიდებულება არის დარღვევა საკ. კ. პ. (ბ) წესდებისა, რომლის მიხედვითაც პარტიის წევრი **მოვალეა** „დაუღალავად იმუშაოს თავისი შეგნებულობის ამაღლებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შეთვისებისათვის". ადამიანები, რომლებიც უგულებელჰყოფენ კომუნისტის ამ მოვალეობას, იქცევიან მენამცეცე საქმოსნებად, ადვილად ვარდებიან ოპორტუნისტულ შეცდომებში, ჩამორჩებიან ხოლმე და ამიტომ ჰკარგავენ ხელმძღვანელობის უფლებას. მათ წინ უსწრებს ახალი ცვლა ამხანაგებისა, რომელმაც ისწავლა პარტიის ისტორიის დაფასება, როგორც ჩვენი შემოწმებული საბრძოლო იარაღისა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ საბრძოლო იარაღის დაუფლებას. სწორედ ამიტომ ამხანაგმა სტალინმა პირადად მიიღო ასეთი აქტიური მონაწილეობა „მოკლე კურსის" შედგენაში, რომ ღრმა თეორიული გაშუქება მიეცა ბოლშევიკური პარტიის ისტორიისათვის. და ამან თავისი ნაყოფი მოგვცა, გამოიწვია რა ახალი მძლავრი იდეურ-პოლიტიკური აღმავლობა ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. პარტიის ისტორიის შესწავლამ მილიონობით ადამიანებს ხელი მოაკიდებინა თავისი ცოდნის გაფართოებისათვის სხვა დარგებშიც: ფილოსოფიაში, ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, საერთაშორისო პოლიტიკაში, სამხედრო საკითხებში, მხატვრულ ლიტერატურაში და სხვ.

ამიტომ ყველა პარტიული ორგანიზაციის, ყველა უმაღლესი სასწავლებლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პარტიის ისტორიის შესწავლის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უპასუხებს პარტიის ისტორიის მნიშვნელობას ხალხის ცხოვრებაში. მაშინ მილიონობით ადამიანები აღზრდილი იქნებიან იმის შეგნებით, რომ შემდგომ წლებშიც ჩვენი პარტია, რომელსაც სტალინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს, თავის ისტორიაში ჩასწერს კომუნიზმის სრული, საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლის ახალ ბრწყინვალე ფურცლებს.

„პრავდის" მოწინავე, 9/IX.

ამხანაგ სტალინის წიგნის იშვიათი ეგზემპლარი

მოსკოვი, 7 სექტემბერი (ბილდ-აპარატით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან). სახელმწიფო ისტორიულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა ამხანაგ სტალინის წიგნის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" პირველი გამოცემის უაღრესად იშვიათი ეგზემპლარი. ეს წიგნი, როგორც „მოსკოვსკი ბოლშევიკი" იუწყება, მცირე ფორმატისაა, მწვანე გარეკანით, რომელზეც დაბეჭდილია: „ი. სტალინი. ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი". ეს შრომა ამხანაგმა სტალინმა დაამთავრა 1913 წლის დამდეგს ვენაში. ის პირველად გამოქვეყნდა 1913 წელს სათაურით „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია" პეტერბურგში ლეგალურ ბოლშევიკურ ჟურნალ „პროსვეშჩენიეში". შემდეგ წელს ამხანაგ სტალინის ეს შესანიშნავი ნაწარმოები პეტერბურგის მუშათა გამომცემლობა „პრიბოიმ" გამოსცა 3,000 ეგზემპლარი ტირაჟით. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გამოცემის უდიდეს იშვიათობას, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მისი დაბეჭდვისას 1914 წლის შუახანებში გამომცემლობა „პრიბოის" დარბევის დროს წიგნის თითქმის მთელი ტირაჟი დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი. ერთი მათგანი გუშინ ჩაირიცხა ისტორიული ბიბლიოთეკის ყველაზე იშვიათ წიგნთა ფონდში.

მისალმება
ამხანაგ სტალინისადმი

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! შევიკრიბენით რა ყალმუხური ეპოსის „ჯანგარის" 500 წლისთავის დღესასწაულზე, ჩვენ, თავისუფალი ყალმუხეთის შვილები, მოძმე რესპუბლიკათა მწერლები, პოეტები, მეცნიერნი, რომელნიც ამ საზეიმო დღეებში ჩამოვედით თავისუფალი ველების დედაქალაქში — ელისტაში, მოგმართავთ თქვენ, ჩვენს ბელადს, მასწავლებელს, მეგობარს ჩვენი პირველი სიტყვით — მისალმების, ერთგულებისა და სიყვარულის სიტყვით.

ფართოდ გადაჭიმულან ყალმუხეთის თვალუწვდენი ველები. მრავალ წელს დამწუხრებული, მშიერი, გაჭირვებული დახეტიალებდა ამ ველებში ყალმუხი ხალხი. ნოიონი, კულაკი, მეფის მოხელე იმონებდნენ თავისუფლების მოყვარულ ყალმუხს. დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილებთან ერთად, რომელნიც მეფის რუსეთის ყველა ხალხის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ყალმუხებიც ეწეოდნენ ბრძოლას დამმონებლების წინააღმდეგ. თავისუფლებისაკენ, ბედნიერებისაკენ მისწრაფება, ხალხის გმირული სულის დაუშრეტელი, ძლევამოსილი ძალებისადმი რწმენა არ გამქრალა ყალმუხის გულში. თავისი ხალხური პოემის „ჯანგარის" მძლავრი სახეებით გამოხატა ეს რწმენა ყალმუხმა ხალხმა, ბუმბას მადლიან ქვეყანაზე ოცნებაში ჩააქსოვა მან თავისი მისწრაფება თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ.

ყალმუხმა ხალხმა იცოდა, რომ მხოლოდ მძიმე, ულმობელი ბრძოლით შეუძლია მას მოიპოვოს სასურველი თავისუფლება, ბედნიერება, და იგი დევგმირთა — „ჯანგარის" თანამებრძოლთა პირით ფიცსა სდებდა:

არ დავზოგავთ სიცოცხლეს,
ჩვენს ფიქრებს სამშობლო მხარეს მივუძღვნით;
უკუვაგდებთ შურს, ტრაბახს,
ფარულ მტრობას, ღალატს, სიხარბეს;
მკერდს გავიპობთ და ამოვიღებთ გულს
და ხალხს შევსწირავთ ჩვენს სისხლს.

ასწლობით გრძელდებოდა ეს ბრძოლა, მაგრამ ყალმუხი ხალხი ვერ ხედავდა ამ მადლიან ქვეყანას. და ასე იყო მანამდე, სანამ ჩვენი მიწა-წყლის დიად დევგმირთა — ლენინისა და სტალინის დროშით, ბოლშევიკების დროშით არ დაირაზმა ჩვენი მრავალერიანი სამშობლოს ყველა ხალხი. ბოლშევიკების პარტიამ გააერთიანა ისინი საყოველთაოსახალხო ბრძოლაში და სასიხარულო გამარჯვებამდე მიიყვანა. მეგობრობის, ძლიერებისა და ბედნიერების ძმურ ოჯახში შევიდა, როგორც თანასწორი, თავისუფალი ძმა, ყალმუხი ხალხი, რომელიც დიდი რუსი ხალხის დახმარებით ანვითარებს თავის ძლიერებას, კულტურას და კეთილდღეობას. და ჩვენ ახლა უკვე შეგვიძლია შევაჯამოთ ნაყოფი ჩვენი პირველი გამარჯვებებისა, რომლებსაც მოჰყვება ახალი, კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებანი.

აყვავდა ყალმუხური ველი. უხვი მოსავლით აჯილდოებს იგი შრომისმოყვარე ყალმუხის სასიხარულო შემოქმედებითს შრომას. იუბილესწინა სოციალისტურ შეჯიბრებაში ყალმუხეთის ასობით კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სოციალისტური მიწათმოქმედების საწარმოო ბრიგადებმა და რგოლებმა ისეთ შედეგებს მიაღწიეს, რომლებიც მოწმობენ მაღალი სტალინური მოსავლისათვის ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებს. დასავლეთ ულუსის კრუპსკაიას სახელობის, ლენინის სახელობის, „პროლეტარსკაია პობედას", ჩკალოვის სახელობის, „როტე-ფანეს" სახელობის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია მარცვლეულ კულტურათა ას-ასი ფუთი და კიდევ მეტი მოსავალი. ყალმუხეთის რესპუბლიკაში წელს აღებულ იქნა 3 მილიონი ფუთით მეტი მარცვალი, ვიდრე გასულ წელს. ვითარდება მეცხოველეობა. 1940 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 8 პროცენტით, ცხვრის სულადობა — 38,5 პროცენტით.

იზრდება ყალმუხი ხალხის კეთილდღეობა. ამასთან ერთად იზრდება და ვითარდება მისი კულტურა, ლიტერატურა, მისი შესანიშნავი ხალხური შემოქმედება.

„ჯანგარის" 500 წლისთავი, რასაც ყველა საბჭოთა ხალხები დღესასწაულობენ, კიდევ უფრო ფართოდ გადაშლის ჩვენი სამშობლოს მილიონობით მშრომელთა წინაშე ბედნიერი ყალმუხეთის ხალხური ეპიკური შემოქმედების დიდებულ საგანძურს. ეპოსი „ჯანგარი", გადათარგმნილი სსრ კავშირის რამდენიმე ათეული ხალხის ენაზე, მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი მოწინავე კაცობრიობის კუთვნილება ხდება.

ჩვენ ვიცით სახელი, რომელთანაც განუყრელად დაკავშირებულია ყველა ჩვენი გამარჯვება. ჩვენ ვიცით სახელი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ძლიერების, ჩვენი ერთობის, ხალხთა დიადი მეგობრობის სიმბოლოს. ჩვენ ვიცით სახელი, რომელიც გვაფრთოვანებს ახალ მისწრაფებათათვის, ახალი შემართებისათვის, რომელიც აფრთოვანებს ჩვენს შრომას, რომელიც ფრთებს ასხამს ჩვენს პოეტებს. ჩვენ ვიცით სახელი, რომელიც ვით უძლეველი დროშა, თავს დაჰფრიალებს საბჭოთა ქვეყანას — ბუმბის*) ამ მოპოვებულ მადლიან ქვეყანას, „ძლიერ ადამიანთა ამ სურნელოვან ქვეყანას, დევგმირთა ამ აღთქმის ქვეყანას". და ჩვენ ვადიდებთ დიად სახელს, ჩვენი ბელადის, მასწავლებლის, მეგობრის სახელს, თქვენს სახელს, ძვირფასო, საყვარელო ამხანაგო სტალინ.

(მიღებულია ყალმუხური ეპოსის „ჯანგარის" 500 წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ქ. ელისტაში 1940 წ. 6 სექტემბერს).

---

*) ბუმბა — სიუხვის, სიხარულისა და მარადიული სიჭაბუკის ზღაპრული ქვეყანა.

სავაჭრო და საკრედიტო შეთანხმება სსრ კავშირსა და შვეციას შორის

1940 წლის 7 სექტემბერს მოსკოვში სსრ კავშირსა და შვეციას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ და საკრედიტო შეთანხმება.

საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ დადებული შეთანხმების მოქმედების პირველი წლისათვის საერთო საქონელბრუნვა ნავარაუდევია 150 მილიონი შვედური კრონის რაოდენობით, 75 მილიონი შვედური კრონა თვითეული მხრიდან.

კრედიტის ანგარიშში საქონლის მიწოდების გათვალისწინებით, შვეციის ექსპორტი სსრ კავშირში შეთანხმებათა მოქმედების პირველ წელს შეადგენს 100 მილიონზე მეტ შვედურ კრონს, ნაცვლად 18 მილიონი შვედური კრონისა 1938 წელს, ხოლო შვეციის იმპორტი სსრ კავშირიდან—75 მილიონ შვედურ კრონს, ნაცვლად 12 მილიონი შვედური კრონისა 1938 წელს.

სსრ კავშირი შვეციიდან შემოიტანს ვაგონის ბორბლებსა და სხვა სარკინიგზო მასალას, ჩარხებს, ხარისხოვან ფოლადს, ბურთობსაკისარებსა და სხვა მოწყობილობას.

ამ საქონლის სამაგიეროდ სსრ კავშირი შვეციას მიაწვდის ნავთის პროდუქტებს, მარცვალს, კოჰტონს, მარგანეცის მადანსა და სხვა საქონელს.

საკრედიტო შეთანხმების პირობების თანახმად, შვეცია სსრ კავშირს აძლევს კრედიტს 100 მილიონი შვედური კრონის რაოდენობით 5 წლის ვადით წლიური 4½ პროცენტის რაოდენობით. სსრ კავშირი ამ კრედიტს გამოიყენებს ორი წლის განმავლობაში მანქანებსა და მოწყობილობაზე დამატებით მიცემული შეკვეთების გადასახდელთა გასასტუმრებლად.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა, შვეციის მხრივ—მეურნეობის რეგულირების მინისტრმა ბ-ნ გ. ერიქსონმა.

(საქტესი).

ქარხანა „კრასნაია ეტნის" წუნის მკეთებელთა გასამართლება

გორკი, 8 სექტემბერი (საქტესი). აქ მოხდა ქარხანა „კრასნაია ეტნის" წუნის მკეთებელთა გასამართლება.

წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებით გამორკვეულია, რომ გორკის ქარხანა „კრასნაია ეტნა", უშვებდა რა 1940 წლის განმავლობაში დიდძალ წუნს, სისტემატურად გზავნიდა მას მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანაში. ყველაზე პასუხსაგები დეტალების წუნი 10-36 პროცენტს აღწევდა.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ქარხანა „კრასნაია ეტნის" ყოფილ დირექტორს მაკაროვს და ქარხნის ყოფილ მთავარ ინჟინერს ისაკოვს მიუსაჯა 8 წლის პატიმრობა თვითეულს. ქარხნის ტექნიკური კონტროლის ყოფილ უფროსს შიშკინს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატი

7 სექტემბერს შესდგა სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატის მესამე ტური.

ჯერ არ წაუგია როსტოველ ბონდარევსკის, რომელიც ლიდერობას ინარჩუნებს. ბონდარევსკიმ, რომელიც თეთრებით თამაშობდა, მე-33 სვლაზე აიძულა ლისიცინი დაეთმო პარტია.

დუბინინმა მოუგო გერსტენფელდს.

მე-25 სვლაზე ოსტატ ჰანოვისა და გროსმაისტერ კერესის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ყაიმით დამთავრდა ბოლესლავსკი—რუდაკოვსკის პარტიაც.

სმისლოვ—ბოტვინიკის, ლევენფიშ—ლილიენტალის, პეტროვ—მიკენასის, სტოლბერგ—კონსტანტინოპოლსკის. ვერესოვ—მაკაგონოვისა და რაგოზინ—კოტოვის პარტიები გადაიდო.

O

საჭადრაკო ჩემპიონატის მეოთხე ტურმა, რომელიც 8 სექტემბერს შესდგა, ორ გროსმაისტერს დამარცხება მოუტანა. სსრ კავშირის ჩემპიონმა ბოტვინიკმა ბრწყინვალედ მოუგო გროსმაისტერ ლევენფიშს, მაესტრო პანოვმა— გროსმაისტერ კოტოვს.

სმისლოვმა მოუგო რუდაკოვსკის, რაგოზინმა —კონსტანტინოპოლსკის. ყაიმით დამთავრდა ტურნირის ლიდერ ბონდარევსკისა და ბოლესლავსკის პარტია. ლისიცინ—მაკაგონოვის შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა.

კერეს — ვერესოვის, მიკენას—სტოლბერგის, ლილიენტალ — დუბინინის, გერსტენფელდ — პეტროვის პარტიები გადაიდო. (საქტესი).

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მოქალაქეთა მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის მიღების წესის შესახებ

1. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის შესახებ" 1938 წლის 19 აგვისტოს კანონის 1 მუხლის შესაბამისად, დაწესდეს, რომ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მოქალაქენი დღიდან ამ რესპუბლიკების სსრ კავშირის შემადგენლობაში მიღებისა არიან სსრ კავშირის მოქალაქენი.

2. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მოქალაქენი, რომლებიც ამ ბრძანებულების გამოცემის მომენტისათვის სსრ კავშირის საზღვრებს გარეთ იმყოფებიან და რომელთაც აღნიშნული რესპუბლიკების საბჭოთა მთავრობების მიერ არა აქვთ ჩამორთმეული მოქალაქეობა, მოვალენი არიან არაუგვიანეს 1940 წლის 1 ნოემბრისა გატარდნენ რეგისტრაციაში როგორც საბჭოთა მოქალაქენი სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობებში ან საკონსულოებში, რისთვისაც ისინი პირადად უნდა გამოცხადდნენ ან ფოსტით გაგზავნონ სპეციალური განცხადება ნაციონალური პასპორტის თანდართვით.

აღნიშნული პირები, რომლებიც 1940 წლის 1 ნოემბრამდე სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობებში ან საკონსულოებში არ იქნებიან რეგისტრირებულნი, როგორც საბჭოთა მოქალაქენი, შეიძლება მიღებულ იქნან სსრ კავშირის მოქალაქეებად საერთო საფუძველზე „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის შესახებ" მიღებული კანონის 3 მუხლის შესაბამისად.

3. მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც ნაციონალურ უმცირესობებს ეკუთვნიან, რომლებსაც ლიტვასა, ლატვიასა და ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებული პოლიტიკური რეჟიმების პირობებში არ შეეძლოთ მიეღოთ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოქალაქეობა, სსრ კავშირის მოქალაქეობას მიიღებენ ამ ბრძანებულების 1 და 2 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

მოქალაქეობის არმქონე დანარჩენ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიაზე, შეუძლიათ მიიღონ სსრ კავშირის მოქალაქეობა საერთო საფუძვლებზე, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის შესახებ" მიღებული კანონის 3 მუხლის შესაბამისად.

4. ის პირები, რომლებსაც სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1921 წლის 15 დეკემბრის დეკრეტის საფუძველზე ჩამორთმეული აქვთ საბჭოთა მოქალაქეობა და რომლებიც ამჟამად ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიაზე ცხოვრობენ, უთანაბრდებიან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც აღნიშნული არიან ამ ბრძანებულების 3 მუხლის მეორე ნაწილში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 სექტემბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ბატალური ფერწერის აკადემიკოსის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. ს. სამოკიშის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბატალური ფერწერის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, დაბადების 80 წლისთავისა და სამხატვრო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით,—დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის ორდენით** ბატალური ფერწერის აკადემიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ სიმონის-ძე **სამოკიში.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 სექტემბერი.

წარმატებით ჩავატაროთ რთველი

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებით „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" შექმნეს მტკიცე ბაზა და ფართო შესაძლებლობა კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობისა და შეძლებულობის შემდგომი ამაღლებისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაშლილი სოც. შეჯიბრების საფუძველზე გაჩაღებულია დიდი მუშაობა იმისათვის, რომ ყოველმხრივ წარმატებით განვითარდეს მევენახეობა და მეღვინეობა, სანიმუშოდ შესრულდეს ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** მითითება: „საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სუფრას შევძინოთ კარგი სუფრის ღვინო და შამპანური, ყურძნის კარგი პროდუქცია, ერთი ორად გავადიდოთ ყურძნის მოსავალი".

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია სუფრის ჯიშის ყურძნის კრეფა. კიდევ რამდენიმე დღე და საღვინე ყურძნის რთველიც მასობრივად დაიწყება. ორდენოსანი საქართველო წელს დაამზადებს 45.000 ტონამდე მაღალხარისხოვან ყურძენს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს მიაწოდებს 900.000 დეკალიტრზე მეტ საუკეთესო ღვინოს.

ახლა მთავარია: სანიმუშოდ მოვემზადოთ და ჩავატაროთ რთველი, მოსავალი ავიღოთ აგროტექნიკურ ვადებში, უდანაკარგოდ და დაუზიანებლად, მთლიანად შევასრულოთ სახელმწიფო გეგმები, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. პირველ რიგში კი საჭიროა კონტრაქტაციის სახელმწიფო გეგმები დაყვანილ იქნას თვითეულ მეურნემდე, მევენახეობის ყველა მუშაკამდე.

ადგილებიდან მოდის ცნობები, რომ ეს სამუშაო ყველგან ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. გურჯაანის რაიონში გაფორმებულია კონტრაქტაციის ხელშეკრულებების მხოლოდ 72,6 პროცენტი, წითელწყაროს რაიონში—74,4, ხოლო ყვარლის რაიონში—70,5 პროცენტი.

წელს რაიონების უმრავლესობამ წარმატებით გააფორმა ხელშეკრულებები კერძოდ შამპანური ყურძნის ჩაბარებაზე. დაკონტრაქტებულია 12.557,7 ტონა ყურძენი, დავალების 104,6 პროცენტი. მაგრამ ორჯონიკიძის, გორის, კასპისა და მცხეთის რაიონებში სუსტი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგად გეგმები ჯერ კიდევ არ არის დაყვანილი ადგილებამდე, კონტრაქტაციის ხელშეკრულებები გაუფორმებელია.

რაიონების პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს, თვითეულ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას ევალება კარგად გაითვალისწინონ, რომ სახელმწიფო ვალდებულების შესრულება არის პირველი და მთავარი ამოცანა, რომ გეგმა ეს არის კანონი, რომელიც ურყევად უნდა შესრულდეს, რომ მოსავალი თავისთავად კი არ მოდის, არამედ იგი უნდა მოვიპოვოთ.

საქმის წარმატებას სწყვეტს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა. საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინა, გავაძლიეროთ ბრძოლა ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. მევენახეობის რაიონებში სპეციალური კომისიების საშუალებით უნდა შედგენილ იქნას რთველის ჩატარების კალენდარული გეგმები თვითეული სასოფლო საბჭოსა და სოფლის ცალკეული ნაკვეთის მიხედვით. რთველი უნდა დაიწყოს ცალკეულ მასივებსა და უბნებზე თვითეული ჯიშის ტექნიკური სიმწიფისა და ყურძნის დანიშნულების მიხედვით.

ყურძნის წესიერი კრეფა ხარისხის გაუმჯობესების საწინდარია. საჭიროა მიმღები პუნქტები დროულად უზრუნველვყოთ უნარიანი და კვალიფიციური მუშაკებით, ყველა ხელსაწყო - ინვენტარით, საჭიროა მკრეფავების სწორად შერჩევა, მათი მომარაგება დანებით, მაკრატლებით, კალათებით და ხის ვედროებით, ყურძნის მოკრეფა დაწესებულ კალენდარულ ვადაზე და ნორმალური ტემპერატურის დროს, შშრობის შემდეგ, სუფთა და მშრალ ჭურჭელში, ჯიშების მიხედვით. მოვაწყოთ ყურძნის დახარისხება კრეფის დროსვე მოკრეფილი ყურძნის გადასამუშავებელ ადგილამდე მარლით, ფოთლებით ან სუფთა ბრეზენტით გადაფარებული მიტანა, კრეფიდან არაუგვიანეს 4-5 საათისა, ხოლო შამპანური ჯიშებისა — უფრო ადრეც. არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს გასული წლის შეცდომები, როცა მაგალითად, ვანის რაიონის სოფ. ინაშაურის და ამაღლების კოლმეურნეობები პუნქტებს აბარებდნენ ყურძენს მოკრეფის მეორე დღეს. ზოგან კი ყურძენი მოჰქონდათ არაკონდიციური, დაუხარისხებელი და მექანიკურად დაზიანებული.

მევენახეობის რაიონების პარტიის რაიონულ კომიტეტებს და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ევალებათ დააწესონ მტკიცე კონტროლი ყურძნის კრეფისა და გადამუშავების ხარისხზე, ნამდვილი ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ მასებს, ფართოდ დარაზმონ ისინი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. ქარხნებისა და მიმღები პუნქტების ხელმძღვანელებმა სრულ წესრიგში უნდა მოიყვანონ ბინები, ტარა და სხვა საჭირო ინვენტარი. ქარხნების დირექტორებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ მანქანების ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობისათვის, გააფორმონ ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან მუშა-ხელის მიწოდების შესახებ, უზრუნველჰყონ ჩამბარებლებზე ყურძნის საფასურის დროზე გაცემა და დაიცვან ღვინოები გაფუჭებისაგან.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა, პირადად ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი** უდიდეს ყურადღებას აქცევენ მევენახეობის განვითარებას, კერძოდ კი შამპანური ღვინოების წარმოების გაფართოებას. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის.

ყველა საშუალება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ყურძნის კრეფის, დამზადებისა და გადამუშავების გეგმები დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულდეს.

ხალხთა დიდი სტალინური მეგობრობის დროშის ქვეშ

(„ზარია ვოსტოკას“ საუბარი ტელეფონით ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებთან და კიშინიოვთან)

ოთხ დღეს გაგრძელდა ეს ფრიად საინტერესო საუბარი. „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია თბილისიდან ტელეფონით ელაპარაკა 31 აგვისტოს — რიგას (ლატვიის სსრ), 1 სექტემბერს — ტალინს (ესტონეთის სსრ), 2 სექტემბერს — კაუნასს (ლიტვის სსრ), 3 სექტემბერს — ახალ საბჭოთა ქალაქს კიშინიოვს.

პირველი სიტყვა მოსაუბრეებს შორის იყო მხურვალე ძმური ურთიერთ სალამი. „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია საქართველოს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის სახელით მიესალმა ახლად განთავისუფლებულ ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ბესარაბიის ხალხებს, რომლებიც შეუდგნენ ახალი ცხოვრების მშენებლობას საბჭოთა კავშირის ერთიან ოჯახში. ყოველ ასეთ სალამზე თვითეულმა მოსაუბრემ საპასუხო სალამი უძღვნა საქართველოს მშრომელთ. ყოველმა მათგანმა გამოხატა სიხარული იმის გამო, რომ მას საშუალება მიეცა თავისი ხალხის სახელით მიესალმოს მოძმე საქართველოს ხალხს, რომელმაც მსოფლიოს მისცა ხალხთა დიდი ბელადი, ჩაგრულთა განმათავისუფლებელი ამხანაგი **სტალინი**.

ურთიერთ მისალმების შემდეგ იმართებოდა მოკლე საუბარი.

რიგის გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდას“ რედაქცია ესაუბრა „ზარია ვოსტოკას“ იმის შესახებ, რომ დღეს (31 აგვისტოს) ლატვიის საწარმო-დაწესებულებებში და სოფლებში ტარდება ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე შედგენილი ლატვიის სსრ ახალი კონსტიტუციის მიღებისადმი. ლატვიის ხალხი წითელი არმიის დახმარებით განთავისუფლდა კაპიტალიზმის უღლისაგან. განთავისუფლების პირველი დღიდანვე ლატვიის საწარმოებში შეიქმნა სტახანოვური ბრიგადები. რიგის სატრიკოტაჟო ფაბრიკაში უკვე არიან პირველი სტახანოველი ქალები. აქ შრომის ახალი მეთოდების თაოსნები არიან ფაბრიკაში ახლად ჩამოყალიბებული კომკავშირული ორგანიზაციის წევრები — კომკავშირელი გოგონები. სტახანოველები ისწრაფვიან თავისი ტექნიკური ცოდნის ამაღლებისაკენ, რის გამო მთელ რიგ საწარმოებში შექმნილია ტექნიკური წრეები.

მეორე საუბარი „ზარია ვოსტოკამ“ გამართა ესტონეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. ი. ლაურისტინთან. — მთელი ესტონეთის ხალხი, — სთქვა ამხ. ი. ლაურისტინმა, — ამჟამად ზეიმობს ახალი კონსტიტუციის მიღებას. ესტონეთში ამჟამად ყოველი დღე აღინიშნება რაიმე ახალი მოვლენით. ერთერთი ასეთი ახალი შესანიშნავი მოვლენა — ეს არის ესტონეთის სახალხო არმიის წითელ არმიად გარდაქმნა. ესტონეთში შექმნილი ყველა სახალხო კომისარიატი უკვე შეუდგა მუშაობას. დიდი სამუშაო აქვს ამჟამად მიწათმოქმედებისა და განათლების სახალხო კომისარიატებს. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აწარმოებს მემამულეთა მიწების ხელახლა აღრიცხვას, მათ გაზომვას და განაწილებას მშრომელ გლეხთა შორის. გლეხობა აქტიურად ეხმარება სახელმწიფოს, ამხელს კულაკებს, მათ მტრულ ზრახვებს. განათლების სახალხო კომისარიატი ამთავრებს სკოლების მზადებას სასწავლო წლის დასაწყისისათვის, იღებს ზომებს საყოველთაო სახალხო განათლების განსახორციელებლად. დღეს, 1 სექტემბერს, ტალინი იზეიმებს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს.

მესამე საუბარი გაიმართა ლიტვის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. მ. გედვილასთან.

ამხ. მ. გედვილასმა ილაპარაკა განთავისუფლებული ლიტვის ახალ ცხოვრებაზე. ახლებურად მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნები. გაჩნდნენ მრავალდაზგოსნები. უმუშევრობა სწრაფად ისპობა. გაქცეული ფაბრიკანტების სახლებში მუშების ბავშვებისათვის გაიხსნება ბაგები. ბევრმა მუშამ მიიღო ბინები კაუნასის ცენტრალურ ქუჩებზე. სოფლებშიაც ახლებურად მიმდინარეობს ცხოვრება. დიდი და რთული მუშაობა მიმდინარეობს მიწების განაწილების დარგში. მთელს რესპუბლიკაში უნდა განაწილდეს 600 ათასი ჰექტარი მიწა. ამჟამად ლიტვაში შექმნილია 13 სახალხო კომისარიატი. რამდენიმე სახალხო კომისარი ახლახან დაბრუნდა ბელორუსიიდან, სადაც ისინი გაეცვნენ ბელორუსიის სსრ სათანადო სახალხო კომისარიატების მუშაობას. დაახლოვებით სამი თვის შემდეგ ლიტვაში დაიწყება ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ამ დღეებში ლიტვის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა ახალი საფინანსო სისტემის გატარებისათვის მზადების საკითხი. ლიტვაში მალე შემოიღებენ მტკიცე საბჭოთა მანეთს. ეს მეტად სერიოზული ღონისძიებაა. ამან ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ლიტვის ეკონომიკის აყვავებასა და აღმავლობას. ლიტველი ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა ქალაქ ვილნიუსის ლიტვის სს რესპუბლიკის დედაქალაქად გამოცხადებას, ნაცვლად კაუნასისა.

3 სექტემბერს საუბარი გაიმართა მოლდავეთის კ. პ. (ბ) კიშინიოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. ულასევიჩთან. კიშინიოვი თანდათან იცვლის სახეს. აქ გადმოდის ტირასპოლიდან მთავრობის დაწესებულებები. კიშინიოვის უდიდეს თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობა ორ ცვლად მიმდინარეობს. აქ ახლა ნაცვლად 150 კაცისა 500 კაცი მუშაობს, მათ შორის 100-მდე სტახანოველი და დამკვრელია. ფაბრიკაში მუშები უკვე დაეუფლნენ მაღალხარისხოვანი პაპიროსის გამოშვებას. ამასწინათ ამ პაპიროსების ერთი წყება საჩუქრად გაეგზავნა მოსკოვის მშრომელთ. კიშინიოვში უმუშევრობა სექტემბერში მთლიანად ლიკვიდირებული იქნება. კიშინიოვში სავსებით აღდგენილია ელექტროსადგური, ნორმალურად მუშაობს ტრამვაი, მიმდინარეობს ქუჩებისა და სახლების რემონტი. 1.500-მდე მუშის ოჯახი დაბინავდა გაქცეულ მემამულეთა და მეფაბრიკეთა სახლებში. სკოლებში მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. წელს კიშინიოვის სკოლებში ისწავლის 16 ათასზე მეტი ბავშვი.

მოსავალი ბესარაბიაში წელს საუკეთესოა. ხორბალი, ხილი, ყურძენი უხვადაა. მიმდინარეობს მემამულეთა მიწების განაწილება მშრომელ გლეხებს შორის.

* * *

ა/წ 7 სექტემბერს „ზარია ვოსტოკამ“ მთელი მესამე გვერდი უძღვნა საბჭოთა ბალტიისპირეთის მშრომელთა წერილებს. საბჭოთა ბალტიისპირა ქვეყნებში სდუღს ახალი, მხიარული ცხოვრება. სტალინური კონსტიტუციის მზე უნათებს ამ ახალ მოძმე რესპუბლიკების მშრომელთ. აქამდე ისინი მუშაობდნენ, მაგრამ მათი შრომის ნაყოფით სხვა სარგებლობდა. ახლა, იგემეს რა თავისუფალი შრომის სიხარული, გაიცნეს რა სტახანოვური მოძრაობის და დამკვრელობის არსი და მნიშვნელობა, გატაცებით, ენტუზიაზმით მუშაობენ ხალხის საკეთილდღეოდ, დიადი საბჭოთა ქვეყნის საკეთილდღეოდ. სწრაფად იზრდება სტახანოველებისა და დამკვრელების რიცხვი. სულ მალე სტახანოვური მოძრაობა სავსებით გარდაჰქმნის ბალტიისპირა ქვეყნების საწარმოთა სახეს. წინათ მუშები არ ცდილობდნენ გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება. მათ ეშინოდათ, რომ ნედლეული მალე დაილეოდა, ბაზარი საქონლით გაივსებოდა და მუშებს ფაბრიკა-ქარხნებიდან გარეკდნენ.

ახლა, საბჭოთა კავშირის ერთიან ოჯახში, მათ ეს საშიშროება აღარ მოელით. ახლა ისინიც გატაცებით მუშაობენ პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის გასადიდებლად, აშენებენ ახალ ნათელ ცხოვრებას.

აი ამაზე სწერენ ბალტიისპირა ქვეყნების მშრომელნი საქართველოს მშრომელთ და სთხოვენ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას გადასცენ ქართველ ხალხს გულითადი სალამი.

მზადება წითელ არმიაში მორიგი გაწვევისათვის

გაწვევისათვის კარგად ემზადებიან

ცხაკაიას რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციები და რაიონის სამხედრო კომისარიატი გულმოდგინე მუშაობას ეწევიან გაწვევის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

წვევამდელთა დიდი უმრავლესობა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეა. გასაწვევთა შორის იყო წერა-კითხვის 9 უცოდინარი და 36 მცირემცოდნე, მაგრამ განათლების განყოფილების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კარგი მუშაობის შედეგად ყველას შეასწავლეს წერა-კითხვა. მათგან გამოცდა ფრიადზე ჩააბარა ხუთმა, კარგზე—3, საშუალოზე—1. ასეთივე მაღალი მაჩვენებლებით ჩააბარა გამოცდები წერა-კითხვის მცირემცოდნე 36 წვევამდელმა.

მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება დიდ მუშაობას ეწევა წვევამდელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარების საქმეში. წვევამდელები, რომლებსაც მკურნალობა ესაჭიროებოდათ, მიმაგრებული არიან საექიმო პუნქტებზე და სამკურნალო დაწესებულებებზე. საექიმო მომსახურების კარგად დაყენების შედეგად 93 ავადმყოფი წვევამდელიდან განიკურნა 69. დანარჩენთა მკურნალობა მიმდინარეობს. 9 წვევამდელიდან, რომელთაც რთული ოპერაცია ესაჭიროებოდათ, ოპერაცია გაუკეთდა 8-ს და ახლა ისინი სავსებით გამოჯანსაღებული არიან.

ჯანმრთელობის განყოფილებამ დასასვენებლად და სამკურნალოდ კურორტებზე გაგზავნა რამდენიმე წვევამდელი.

რაიონში კარგად დაყენებულია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წვევამდელთა შორის. საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის სამხედრო განყოფილებამ და რაიონის სამხედრო კომისარიატმა ამ უკანასკნელ ხანებში ორჯერ ჩაატარეს წვევამდელთა სარაიონო კონფერენცია და 54-ჯერ სასოფლო შეკრებები და საუბრები. კონფერენციებსა და შეკრებებზე წვევამდელებს აცნობენ მორიგი გაწვევისათვის მზადების და წვევამდელთა ამოცანებს, მიმდინარე საკითხებს, საშინაო და საგარეო მდგომარეობას, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს და სხვ.

რაიონის სამხედრო კომისარიატს შესწავლილი ჰყავს წვევამდელთა 100 პროცენტი და გაფორმებული აქვს ყველა საბუთები.

სოფელ ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წვევამდელი კალისტრატე გეგია ყოველდღიურად სამუშაო ნორმას 200-300 პროცენტით ასრულებს, დღემდე გამომუშავებული აქვს 450-ზე მეტი შრომადღე. ამხ. გეგია საუკეთესოდ ემზადება გაწვევისათვის. მას ჩაბარებული აქვს ნორმები სამი სახის თავდაცვის ნიშნებზე. ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის მუშა-წვევამდელი ამხ. შოთა შუბლაძე ყოველდღიურ ნორმას 145-150 პროცენტით ასრულებს, გივი ბესელია — 120-130 პროცენტით და სხვ.

გასაწვევი ახალგაზრდობა დიდი ინტერესითა და მონდომებით ეკიდება ნორმების ჩაბარებას. წვევამდელებს ე. ჭუბაბრიას, დ. სანაიას, გ. ახალაიას, ვ. კიწურაშვილს და სხვებს ჩაბარებული აქვთ ნორმები ოთხივე სახის თავდაცვით ნიშნებზე.

ამჟამად გასაწვევ ახალგაზრდობაში გაშლილია რუსული ენის შესწავლა. რუსული ენის შემსწავლელ ჯგუფებზე მიმაგრებული არიან რუსული ენის კარგად მცოდნე, გამოცდილი მასწავლებლები.

ცხაკაიას რაიონი, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში ზუგდიდისა და სოხუმის რაიონებთან, ენერგიულად იბრძვის მიმდინარე წლის მორიგი გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის.

ვ. კალანდარიშვილი

ახალწვეულთა 71 პროცენტმა ჩააბარა თავდაცვითი ნიშნების ნორმები

ხაშური, (საქდესი). ხაშურის რაიონი ღირსეულ შევსებას უმზადებს წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს. ახალწვეულთა 71 პროცენტმა ჩააბარა თავდაცვითი ნიშნების ნორმები. ახალწვეულთა შორის წერაკითხვის არცერთი უცოდინარი არ არის. ხაშურის რაიონის ახალგაზრდობა სიხარულით მოელის წითელი არმიის რიგებში გაწვევის დღეს.

სოფელ ქვემო აძვისის კოლმეურნეები — ძმები ბაგრატ და ლევან ხარშილაძენი წელს გაწვეული იქნებიან წითელ არმიაში. იმათ 1940 წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა. ბაგრატ და ლევან ხარშილაძე სასკოლო მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ენერგიულად ეხმარებოდნენ კოლმეურნეებს კულტურულ და მინდვრის სამუშაოში. ახლა კოლმეურნეები საზეიმო გაცილებას უმზადებენ მათ. ახალწვეულ ძმებს ხარშილაძეებს ოთხ-ოთხი თავდაცვითი ნიშანი აქვთ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდა სტახანოველი წვევამდელები (მარცხნიდან მარჯვნივ) დიკი, იორამაშვილი და დანილოვი, რომლებმაც წითელ არმიაში გაწვევის აღსანიშნავად 600 პროცენტით შეასრულეს საწარმოო გეგმა. საქდესის ფოტოქრონიკა

მორიგი გაწვევის წინ

ქობულეთი, (საქდესი). ხუცუბნის ახალგაზრდობა უდიდესი ენტუზიაზმით ემზადება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში მორიგი გაწვევისათვის. ყველა წვევამდელი წერა-კითხვის მცოდნეა. ისინი დიდი მონდომებით ეუფლებიან სამხედრო ცოდნას. კოლმეურნე წვევამდელებს ო. მოწყობილს, უ. ზოიძეს, რ. თამაზაშვილს და სხვ. ფრიადზე აქვთ ჩაბარებული ყველა თავდაცვითი ნორმა. თითქმის ყველა წვევამდელს ჩაბარებული აქვს მსთ-ს და მსქთ-ს ნორმები. გაწვევამდე დარჩენილ დროს წვევამდელები იყენებენ ცხენოსნობისა და ტყვიამფრქვევის სროლის შესწავლისათვის.

რუმინეთ-ბულგარეთს შორის სამხრეთ-დობრუჯის გადაცემის შესახებ დადებული შეთანხმების ხელმოწერა

ბერლინი, 7 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო სოფიიდან იუწყება, რომ კრაიოვაში ხელმოწერილ იქნა რუმინეთ - ბულგარეთის შეთანხმება ბულგარეთისათვის სამხრეთ დობრუჯის გადაცემის შესახებ. ლაპარაკია კალიაკრისა და დურსტორის ოლქებზე, რომლებშიც შედიან ქალაქები დობრიჩი, სილისტრა, ტუტრაკანი, ბალჩიკი და კავარნა. ბულგარეთს გადაეცემა 7.726 კვ. კილომეტრი ტერიტორია 378 ათასი კაცისაგან შემდგარი მოსახლეობით. სამხრეთი დობრუჯა ბულგარეთის ტერიტორიის 7,5 პროცენტს შეადგენს. სამხრეთ დობრუჯასთან ერთად ბულგარეთის ტერიტორია 110 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი იქნება.

ბულგარეთის ცნობები რუმინეთთან ხელშეკრულების დადების შესახებ

სოფია, 8 სექტემბერი (საქდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს შემდეგს ცნობას: „7 სექტემბერს, 15 საათსა და 20 წუთზე, კრაიოვაში ხელმოწერილ იქნა რუმინეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება ბულგარეთისათვის სამხრეთ დობრუჯის გადაცემის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, რუმინეთი ბულგარეთს აძლევს სამხრეთ დობრუჯის მთელს ტერიტორიას 1912 წლის საზღვრებში.

ხელშეკრულება შეიცავს შემდეგს პირობებს: 1. ხელშეკრულების რატიფიკაციისთანავე ბულგარეთის სამხედრო სადემარკაციო კომისიები რუმინეთის კომისიებთან ერთად დაუყოვნებლივ შეუდგებიან ადგილობრივ ახალი ზუსტი საზღვრის გავლებას. 2. 15 სექტემბერს დობრუჯაში ჩავლენ სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები და დაიკავებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს. 3. 20 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ბულგარეთის ჯარი გადალახავს საზღვარს და 10 დღის განმავლობაში დაიკავებს სამხრეთ დობრუჯის ტერიტორიას. 4. ხელშეკრულების რატიფიკაციის მომენტიდან 3 თვის განმავლობაში მოხდება სამხრეთ დობრუჯის რუმინელი მოსახლეობის სავალდებულო გაცვლა ჩრდილოეთ დობრუჯის ბულგარულ მოსახლეობაში. 5. ორივე ქვეყნის სხვა რაიონების მოსახლეობის მიმართ გათვალისწინებულია ნებაყოფლობითი ემიგრაცია ერთი წლის განმავლობაში. 6. ბულგარეთის სახელმწიფო მოვალეა 2 საბიუჯეტო წლის განმავლობაში გადაიხადოს 450 მილიონი ლევი, რაც შეადგენს კერძო შენობების, ქონებისა და სხვ. ღირებულების განსხვავებას. ეს თანხა ჰფარავს საფინანსო ხასიათის ყოველგვარ პრეტენზიებს. 7. რუმინეთის სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ჩრდილოეთ და სამხრეთ დობრუჯის ბულგარელებს მთელი იმ ქონების საფასური, რაც მათ რეკვიზიციის წესით ჩამოერთვათ. ყველა იმ საკითხის მოწესრიგება, რომლებიც შეიძლება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წამოიჭრას, ეკისრება შერეულ კომისიებსა და საჭირო რაოდენობის ქვეკომისიებს“.

რუმინეთის ცნობები ბულგარეთთან ხელშეკრულების დადების შესახებ

ბუქარესტი, 8 სექტემბერი (საქდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს შემდეგს ცნობას: „ბულგარეთსა და რუმინეთს შორის არსებული პრობლემების ურთიერთ შეთანხმებით და მშვიდობიანი გზით გადაჭრის მიზნით, 7 სექტემბერს კრაიოვაში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება 1940 წლის 16 აგვისტოს ნოტის შესაბამისად ტერიტორიის დათმობის შესახებ, რაც მთავრობებს შორის წარმოებული ხანგრძლივი მოლაპარაკების დამთავრებას წარმოადგენს. დადებული ხელშეკრულება ემყარება იმას, რომ აუცილებლად მოხდეს ტულჩისა და კონსტანცის დეპარტამენტის ბულგარელი მოსახლეობის გაცვლა კალიაკრისა და დუროსტორის დეპარტამენტების რუმინელ მოსახლეობაში, აგრეთვე იმას, რომ მოხდეს ორივე ქვეყნის სხვა რაიონების მოსახლეობის ნაწილობრივი გაცვლა მოსახლეთა სურვილისამებრ. ორივე მხარე კისრულობს არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არ იქონიოს ერთმანეთისადმი ამ პირობების რეალიზაციის შემდეგ.

ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებს, რომ რუმინეთის მთავრობა ბულგარეთის მთავრობისაგან მიიღებს საზღაურს ერთი მილიარდი ლეის რაოდენობით გადაცემულ ტერიტორიაზე გაწეული კაპიტალდაბანდებისა და რუმინეთის სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის გაცვლის ხაზით გაწეული ხარჯებისათვის. მოსახლეობის ევაკუაცია უკვე აგვისტოში დაიწყო, მაგრამ ოფიციალური გაცვლა 20 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე იწარმოებს“.

ტრანსილვანიის ევაკუაცია

ბუქარესტი, 8 სექტემბერი (საქდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს რუმინეთის გენერალური შტაბის 6 სექტემბრის შემდეგს კომუნიკეს: „დღეს ევაკუაციის დაწესებული გეგმის თანახმად, ევაკუირებულია ტრანსილვანიის მეორე ზონა. ჩვენი ჯარი იმყოფება იმ ხაზზე, რომელიც დობრაზე, ფეგეტზე, ბაია-მარზე, ტირგუ-ლეპუშულუიზე, ტელჩიუსა და ბორშაზე გადის.

ევაკუაცია სრული წესრიგით და უინციდენტოდ ტარდებოდა. სამხედრო საჭურვლის ევაკუაცია შემუშავებული გეგმის შესაბამისად მოხდა“.

ბუქარესტი, 8 სექტემბერი (საქდესი). ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ტრანსილვანიის 3 ზონა, რაც უნგრეთის ხელში გადადის, ევაკუირებულია რუმინეთის ჯარის მიერ. ევაკუაცია ნორმალურად მიმდინარეობს.

დობრუჯა

ბულგარეთსა და რუმინეთს შორის კრაიოვაში მოლაპარაკება სამხრეთ დობრუჯის ბულგარეთისათვის დაბრუნების შესახებ დამთავრდა ბულგარეთისათვის მისი გადაცემით.

დობრუჯა რუმინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქია. ის არ წარმოადგენს ცალკე ერთეულს, ე. წ. ძველი რუმინეთის შემადგენელი ნაწილია. მასში შედის 4 დეპარტამენტი: ტულჩის, კონსტანცის, დურსტორის და კალიაკრის. დობრუჯის ტერიტორია 23.262 კვადრატული კილომეტრია (ჩრდილოეთი დობრუჯა—15.536 კვადრატ. კილომეტრი, ხოლო სამხრეთი დობრუჯა—კალიაკრას და დურსტორის დეპარტამენტები—7.726 კვადრატ. კილომეტრი. აქ ცხოვრობს 378 ათასი კაცი, ქალაქები: დობრიჩი, სილისტრა, ტუტრაკანი, ბალჩიკი და კავარნა). 1936 წ. 1 იანვრის აღწერით დობრუჯაში ცხოვრობს 884.755 კაცი.

დობრუჯის ეროვნული შემადგენლობა ძლიერ ჭრელია. აქ ცხოვრობენ ბულგარელები, თურქები, რუმინელები, ებრაელები, გერმანელები. არიან რუსებიც, იმ სექტანტების შთამომავალნი, რომელთაც პეტრე პირველის დროს ასახლებდნენ დობრუჯაში, აგრეთვე ზაპოროჟელები, XVIII საუკუნის დასასრულს დუნაის ქვემო ნაწილში გადასახლებულნი.

დობრუჯის ღირსშესანიშნავი ქალაქები მდებარეობენ შავი ზღვის სანაპიროზე და მდ. დუნაიზე. მთავარი ქალაქია, რუმინეთის საუკეთესო ნავსადგური შავ ზღვაზე—კონსტანცა 58 ათასი მცხოვრებით (1930 წ. აღწერით).

დობრუჯა საუკუნეების მანძილზე ერთი დამპყრობლის ხელიდან მეორეს ხელში გადადიოდა. ის ჯერ კიდევ ცნობილი იყო ბერძნებისათვის VI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქ, შავი ზღვის ნაპირებზე, ბერძნებმა პირველად დააარსეს თავიანთი კოლონიები. ამას მოჰყვა რომის ბატონობა, შემდეგ აქ თარეშობდნენ გუთები, ჰუნები და მადიარები, VII საუკუნეში ის ეკუთვნის ბულგარეთს. X საუკუნეში დობრუჯამ ორჯერ განიცადა რუსების თავდასხმა (სვიატოსლავის ლაშქრობა), მაგრამ მათი ბატონობა აქ ხანგრძლივი არ იყო. XII საუკუნის მიწურულში, ბულგარეთის მეორე სამეფოს ჩამოყალიბების დროს, დობრუჯა შეყვანილ იქნა მის შემადგენლობაში. ამის შემდეგ დობრუჯა 1878 წლამდე წარმოადგენდა ბულგარეთის ნაწილს. თვით ბულგარეთი კი იმყოფებოდა თურქეთის ბატონობის ქვეშ.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლის ომის შემდეგ, 1878 წ. ბერლინის ხელშეკრულების თანახმად, ჩამოყალიბებულ იქნა ბულგარეთის სამთავრო მისთვის სამხრეთ დობრუჯის დატოვებით. იცნეს რუმინეთის დამოუკიდებლობა და შეუერთეს მას დობრუჯის ჩრდილოეთი ნაწილი.

ბულგარეთმა სამხრეთ დობრუჯა შეინარჩუნა ბალკანეთის მეორე ომში დამარცხებამდე. 1913 წელს ბუქარესტის ხელშეკრულების თანახმად ის იძულებული იყო დაეთმო იგი რუმინეთისათვის.

პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში ბულგარეთმა, რომელიც გამოდიოდა ავსტრია-გერმანიის ბლოკის მხარეზე, გერმანიის ჯარებთან ერთად დაიკავა სამხრეთი დობრუჯა. 1918 წელს მაისში გერმანია-რუმინეთის სეპარატიული ხელშეკრულებით სამხრეთ დობრუჯა უნდა დარჩენოდა ბულგარეთს, მაგრამ ანტანტის ქვეყნების საბოლოო გამარჯვების შემდეგ 1919 წ. ნოემბერში ნეიში ბულგარეთსა და ანტანტის ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებით სამხრეთ დობრუჯა ისევ რუმინეთს დაუბრუნეს.



დობრუჯა ეკონომიურად წარმოადგენს აგრარულ რაიონს. ის ნაყოფიერი ქვეყანაა. მოსახლეობა ძირითადად მისდევს მემინდვრეობას და მესაქონლეობას, განსაკუთრებით მეცხვარეობას.

დობრუჯის მნიშვნელობა გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ იგი მდიდარი სოფლის მეურნეობის რაიონია, არამედ მისი გეოგრაფიული მდგომარეობითაც. მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს შავი ზღვის ნავსადგურები.

რუმინეთის ბატონობამ სამხრეთ დობრუჯის მცხოვრებთ მოუტანა სამხედრო მდგომარეობა, ეროვნული ჩაგვრა. 1924 წელს რუმინეთის მთავრობამ გამოსცა კანონი (ძალაში შევიდა 1926 წლიდან), რომლის მიხედვით გლეხების კუთვნილი მიწის $1/3$ ნაწილი გადაეცა რუმინელ კოლონიზატორებს. ამ კანონმა ადგილობრივ ბულგარელ და თურქ გლეხებში აჯანყებები გამოიწვია. რუმინეთის მთავრობამ ადგილობრივი მოსახლეობის დაშინების მიზნით 1926 წელს სოფ. სტაროე სელოში მოაწყო სამხედრო რბევა. ათასობით ხალხი (დაახლოებით 100 ათასი) გაიხიზნა საზღვარგარეთ ბულგარეთსა და თურქეთში. სამხრეთ დობრუჯის ოკუპაციამდე აქ იყო 498 ბულგარული დაწყებითი სკოლა, 2 გიმნაზია, 10 პროგიმნაზია. ახლა აქ მხოლოდ 4 ბულგარული დაწყებითი სკოლაა. რუმინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაჰკეტეს ყველა ბულგარული კულტურული დაწესებულებანი.

ტეილორის ჩასვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი (საქდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გადმოცემით, ნიუ-იორკში ჩამოვიდა რუზველტის პირადი წარმომადგენელი ვატიკანში, კომპანია „იუნაიტედ სტეიტს სტილ კორპორეიშენის“ მეთაური ტეილორი. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „უნდა მიიღოს [illegible] გადაწყვეტილებანი დიდ საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების აწმყოსა და მომავალს შეეხება“. ტეილორმა აღნიშნა, რომ რომიდან წამოსვლის წინ იგი საათნახევარს ესაუბრა რომის პაპს.

უილკის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო რასვილიდან (ინდიანის შტატი) იუწყება, რესპუბლიკელთა პარტიის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებულმა უილკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს ინგლისს, „ომის გამოკლებით“. მაგრამ დასძინა, რომ ფრაზა „ომის გამოკლებით“ მას ნამდვილი მნიშვნელობით ესმის.

ჰელის განცხადება

ვაშინგტონი, 8 სექტემბერი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა განაცხადა, რომ 6 სექტემბერს მან ინსტრუქცია მისცა ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ მისიებს ფორმალურად აცნობონ ამერიკის დანარჩენი რესპუბლიკების მთავრობებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინგლისისაგან შეძენილი ბაზები თანაბრად ხელმისაწვდომია ამერიკის ყველა რესპუბლიკისათვის.

ა. შ. შტატების მიერ ხელშეკრულების დადება კანადასთან, ავსტრალიასთან და ახალ ზელანდიასთან

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის გადმოცემით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა და კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლებმა 6 სექტემბერს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ამ ქვეყნებს შორის არსებული სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას.

კომპარტიის დევნა კანადაში

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი (საქდესი). როგორც კანადიენ პრესის სააგენტო მონრეალიდან იუწყება, 6 სექტემბერს, ღამით, კანადის პოლიცია თავს დაესხა კერძო ბინებს და დააპატიმრა სამი კაცი, რომლებსაც კომპარტიის წევრობა ბრალდებათ.

ნორვეგიაში აკრძალეს გერმანიის წინააღმდეგ მეომარ ქვეყნებთან საფოსტო ურთიერთობა

ოსლო, 7 სექტემბერი (საქდესი). საფოსტო სამმართველომ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ „15 სექტემბრიდან დაწყებული, აკრძალულია პირდაპირი და არაპირდაპირი საფოსტო კავშირი იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც გერმანია ომის მდგომარეობაში იმყოფება. არაპირდაპირ კავშირად იგულისხმება ცნობების გაგზავნა იმ ქვეყნებში, რომლებიც გერმანიას არ ეომებიან, იმისათვის, რომ შემდეგ ეს ცნობები გადაეცეს გერმანიის წინააღმდეგ მეომარ ქვეყნებს.

საფოსტო კავშირი პრინციპულად ნებადართულია იმ ქვეყნებთან, რომლებიც გერმანიასთან მტრულ დამოკიდებულებაში არ არიან, მაგრამ სამხედრო და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ არ უნდა გაიგზავნოს ისეთი ცნობები, რომლებსაც შეუძლიათ ავნონ გერმანიას, მის მოკავშირეებს ან მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოებს. მტრულად განწყობილ ქვეყნებად ითვლებიან დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო ოკეანის გადაღმა მდებარე სამფლობელოებით, კოლონიებით, პროტექტორატებით, აგრეთვე დომინიონებითა და სამანდატო ტერიტორიებითურთ: ეგვიპტე, სუდანი და ერაყი; საფრანგეთი — მისი სამფლობელოებით, კოლონიებით, პროტექტორატებითა და სამანდატო ტერიტორიებითურთ“.

უმუშევრობის ზრდა შვეციაში

სტოკჰოლმი, 8 სექტემბერი (საქდესი). ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა შვეციის პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა ყრილობამ, რომელიც სტოკჰოლმში მიმდინარეობდა. ყრილობამ უმუშევრობის შესახებ მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომელშიც სხვათა შორის აღნიშნავს, რომ „მეომარი ქვეყნების ბლოკადამ განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც ექსპორტისათვის მუშაობენ. მაგალითად, ქაღალდისა და ცელულოზის მრეწველობის წარმოების ინდექსი 151-დან გასული წლის ივნისში შემცირდა 103-მდე 1940 წლის ივნისში. ფაბრიკების დაახლოებით 60-65 პროცენტს იძულებული იყო მუშაობა შეეწყვიტა“. მრეწველობის მხოლოდ ლითონის დამმუშავებელმა, მანქანათმშენებელმა და საფეიქრო დარგებმა შესძლეს გაედიდებინათ და წინანდელ დონეზე შეენარჩუნებინათ თავისი წარმოება, რაც, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო შეკვეთებით აიხსნება.

„როგორც კი სახელმწიფო სამხედრო შეკვეთები შესრულდება, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, უმუშევრობა კიდევ უფრო გადიდდება.

მუდმივ მზარდი უმუშევრობა ძალიან აუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას“.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 9 სექტემბერი. გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგი ცნობა:

„გერმანიის ყუმბარმშენი ავიაციის შენაერთებმა განაგრძეს იერიში ლონდონის წინააღმდეგ 8 სექტემბერს დილითა და ღამით. ფოტოსურათებმა დაადასტურეს წინანდელ თავდასხმათა ეფექტიანობა. გერმანიის თვითმფრინავებმა კვლავ დააყარეს სხვადასხვა ყალიბის ყუმბარა ტემზის ორივე მხარეს განლაგებულ დოკებს, სანავსადგურო ნაგებობებს, ნავთსაცავებს, გაზის ქარხნებს, ელექტრო და წყალსაწნევ სადგურებს და სასურსათო საწყობებს. ყუმბარა დავუშინეთ აგრეთვე რამდენიმე აეროდრომს, ლინკოსის მიდამოებში. ფერტ-ოფ-ფორტის ყურეში მძიმედ დაზიანდა ერთი სავაჭრო გემი, რომლის ტონნაჟიც ათას რეგისტრულ ბრუტო-ტონას უდრის.

წუხელ ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ჰამბურგზე. დაზიანებულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. სამოქალაქო მოსახლეობაში არიან დაჭრილნი. მოყენებული ზიანი უმნიშვნელოა.

მტრის საერთო ზარალი გუშინდელ დღეს 22 თვითმფრინავს შეადგენს. გერმანიის ოთხი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა“.

ბერლინი, 9 სექტემბერი. გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, ხანძრის დაფიონი ლონდონის რაიონში 7 სექტემბერს ღამით სჩანდა ლა-მანშის საფრანგეთის მთელს სანაპიროზე შერბურგამდე. გათენებიდან მოსჩანდა კვამლის სქელი ღრუბელი, რომელიც ლონდონიდან ლა-მანშისაკენ იყო გადაჭიმული. კვამლი რამდენიმე ათას მეტრ სიმაღლეზე ადიოდა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 9 სექტემბერი. ინგლისის ავიაციის სამინისტრო და შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტრო შემდეგს კომუნიკეს გადმოგვცემენ: „გუშინ საღამოს, როგორც კი შებინდდა, მტრის იერიში ლონდონის წინააღმდეგ განახლდა და მთელ ღამეს გაგრძელდა.

თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს ლონდონის ვრცელ ტერიტორიას. მტერმა ყველაზე გააფთრებული იერიში ტემზის ნაპირების გასწვრივ მდებარე რაიონზე მიიტანა, სადაც ხანძარი გაჩნდა. ლონდონის სხვადასხვა ნაწილში რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა, რამაც ქალაქის საწარმოთა მუშაობის დროებითი შეწყვეტა გამოიწვია. მნიშვნელოვნად დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე ზოგიერთი საზოგადოებრივი შენობა და სავაჭრო საწარმო“.

ლონდონი, 9 სექტემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლონდონში საჰაერო განგაში დამთავრდა დილის 4 საათსა და 35 წუთზე გრინვიჩის დროით. ეს ყველაზე უფრო ხანგრძლივი საჰაერო განგაში იყო, რომელიც კი მომხდარა დედაქალაქში ომის მთელი დროის განმავლობაში. იგი 9 საათსა და 35 წუთს გაგრძელდა. ავტორიტეტული მეთვალყურენი აცხადებენ, რომ წუხანდელი თავდასხმა კიდევ უფრო გააფთრებული იყო, ვიდრე წინა ღამისა.

8 სექტემბერს ღამით ლონდონის ცენტრალურ ნაწილში გერმანიის თვითმფრინავებმა მრავალი ფუგასური ყუმბარა ჩამოჰყარეს. დაზიანებულია სავაჭრო შენობები. ასობით სახლში ჩალეწილია მინები. დაზიანებულია გაზის მაგისტრალი და კანალიზაცია.

ლონდონი, 9 სექტემბერი. ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე გადმოგვცემს, რომ 7 სექტემბერს ღამით ინგლისის ავიაციამ ინტენსიურად დაუშინა ყუმბარა პა-დე-კალეს სრუტეში მდებარე ნავსადგურებს. ყუმბარა დავუშინეთ კალეს და ბულონს. გარდა ამისა, ყუმბარა დავუშინეთ კრუპის ქარხნებს ესენში, სამხედრო ქარხნებს ემდენში, ცვაიბრიუკენში, გელზენკირხენის ნავთსაწმენდ ქარხნებს. ჩაყრილმა ყუმბარებმა ხანძარი და აფეთქება გამოიწვიეს მანჰაიმის, ერანგის და გამის რკინიგზის საწყობებში. შვარცვალდში ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ტყეში დამალულ სამხედრო მასალის საწყობებს. ბევრ ადგილას უშველებელი ხანძარი გაჩნდა. კოლმარის აეროდრომის იერიშის დროს ყუმბარებმა ანგარის სახურავი ჩაამტვრიეს. იფეთქა დიდმა ხანძარმა. გარდა ამისა ინგლისის ყუმბარმშენმა ავიაციამ იერიში მიიტანა მტრის აეროდრომებზე ვეზელში, კრეფელდში, ბრიუსელში, კერკვილში (საფრანგეთი), სუსტერბურგსა და ეინდჰოფენში (ჰოლანდია). ინგლისის ყველა თვითმფრინავი, რომელიც ამ ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას, თავის ბაზაში დაბრუნდა.

ინგლისის საზღვაო სამინისტროს კომუნიკე გადმოგვცემს, რომ ინგლისის საზღვაო ავიაციამ კვლავ დაიწყო ოპერაციები ნორვეგიის სანაპიროსთან. ინგლისის თვითმფრინავებმა მტრის ორი ტრანსპორტი აღმოაჩინეს. ერთი ტრანსპორტი დიდად დაზიანდა და ჩაიძირა. მეორე გემიც სერიოზულად დაზიანდა.

ლონდონი, 9 სექტემბერი. არაოფიციალური ცნობების მიხედვით, 7 სექტემბერს ინგლისზე თავდასხმაში გერმანიის 500-მდე თვითმფრინავი იღებდა მონაწილეობას. ბომბარდირების შედეგად გაჩენილი ხანძრის წინააღმდეგ საბრძოლველად ინგლისის ხელისუფლებამ დაახლოებით 4.000 სახანძრო მანქანა გამოიყენა.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბომბარდირების მიუხედავად ლონდონის ნავსადგური მუშაობას განაგრძობს. საწყობების ნაწილი დანგრეულია.

არის ცნობები, რომ გერმანიამ თითქმის მეოთხედი დაჰკარგა იმ თვითმფრინავებისა, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ლონდონზე თავდასხმაში. საჰაერო ბრძოლა სწარმოებდა დუვრიდან მდინარე ტემზის შესართავამდე. გერმანიის თვითმფრინავთა მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულ იქნა.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი სწერს ლონდონის იმ ბომბარდირების შედეგთა შესახებ, რომელიც გერმანიის ავიაციამ 7 სექტემბერს მოაწყო. მსოფლიოს ამ უდიდესი ქალაქის მთელ რიგ რაიონებს ცეცხლი მოედო. ნახანძრალთა კვამლი ათობით მილის მანძილზე ედინება და მასში გახვეულია ტემზის შესართავში განლაგებული დოკები. ხანძარმა მთლიანად გაანადგურა ორი კვარტალის სახლები. ისტ-ენდში (ლონდონის აღმოსავლეთი ნაწილი) მრავალი მაღაზია, საწარმო და ბინა დაიწვა. ბომბარდირებამ დიდად დააზარალა ქალაქის ტრანსპორტი. ერთი ყუმბარა რკინიგზის ვაკისს მოხვდა.

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ ლონდონზე გერმანიის ავიაციის 8 სექტემბრის თავდასხმა კიდევ უფრო გააფთრებული იყო, ვიდრე წინა თავდასხმა. ოფიციალურად განაცხადეს, რომ ლონდონში გერმანიის ავიაციის 7 სექტემბრის ღამის თავდასხმის შედეგად მოკლულია 400 კაცი და მძიმე დაჭრილია 1400; მაგრამ გამორკვეულია, რომ მსხვერპლთა ნამდვილი რაოდენობა გაცილებით მეტია.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, როგორც სჩანს, 7 სექტემბერს ღამით ლონდონზე თავდასხმაში გერმანიის 700-ზე მეტ თვითმფრინავს მიუღია მონაწილეობა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ 7 სექტემბრის თავდასხმის დროს გერმანიის ავიაციის მთავარი ობიექტი იყო ლონდონის დოკები, რომლებიც სერიოზულად დააზიანა ბომბარდირებამ. (საქდესი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამოწმებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებების შესრულებას

ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ ხარისხი

ჭიათურის მარგანტრესტის სტალინის სახელობის ქარხანა-მაღარომ, რომელსაც მარგანტრესტის სისტემაში საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს (იძლევა მარგანეცის ტრესტის საერთო გეგმის ერთ მესამედს), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებების ცხოვრებაში გატარების შედეგად საწარმოო გეგმის შესრულების საქმეში საგრძნობ წარმატებებს მიაღწია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების ძალაში შესვლამდე მაღარო სანახევროდაც ვერ ასრულებდა საწარმოო დავალებას. აგვისტოში კი სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა ქარხანა-მაღაროს მუშათა კოლექტივმა 104 პროცენტით შეასრულა. ივნისთან შედარებით აგვისტოში თითქმის ერთიორად გაიზარდა სასაქონლო პროდუქციის სადღეღამისო დამზადება.

შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და 8-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით დიდი წარმატებებია მოპოვებული აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში. ივნისთან შედარებით აგვისტოში ერთ მუშაზე შრომის ნაყოფიერება მაღაროში 27 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ქარხნებში — 33 პროცენტით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის შედეგად ქარხანა-მაღაროს მუშათა კოლექტივმა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საქმეშიც კარგ შედეგებს მიაღწია. სასაქონლო პროდუქციის ხარისხის გეგმა აგვისტოში 101,8 პროცენტით შევასრულეთ. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით ქარხანა-მაღარომ ივლისში 68.000 მანეთი დააგროვა, ხოლო აგვისტოში — 150 ათას მანეთზე მეტი.

გეგმების შესრულების საქმეში საგრძნობლად დაწინაურდნენ მაღაროს პირველი უბანი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ა. სხირტლაძე ხელმძღვანელობს, და მეექვსე უბანი, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ტრ. ფოფხაძე ხელმძღვანელობს. ეს უბნები თუ წინათ გეგმას დიდი დანაკლისით ასრულებდნენ, ახლა დავალებას 105-110 პროცენტით ასრულებენ.

ასევე დაწინაურდნენ მაღაროს მესამე უბანი (გამგე მ. გაფრინდაშვილი) და მეხუთე უბანი (უბნის გამგე ალ. ცილვიძე).

ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ განუხრელად განახორციელოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებები და პირნათლად შეასრულოს მარგანეცის ამოღების წლიური დავალება.

ინჟ. შ. პაქსაშვილი

ჭიათურის სტალინის სახელობის ქარხანა-მაღაროს დირექტორი.

შრომის დეზორგანიზატორები არ დაუსჯიათ

(ქუთაისი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის ბარიტის ქარხანაში უხეშად ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება. ქარხნის მუშა შ. ქათამაძე, რომელსაც 6 აგვისტოს მესამე ცვლაში უნდა ემუშავა, საამქროში ღვინით გალეშილი გამოცხადდა. იგი ბრიგადირმა ვ. მელუამ სამუშაოზე არ დაუშვა. ამის შესახებ აცნობეს ქარხნის დირექტორს ამხ. ა. კუხიანიძეს. მუშები, რომლებიც ამ ფაქტის მოწმენი გახდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შრომის დეზორგანიზატორი ქათამაძე სათანადოდ დაისჯებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ქარხნის დირექტორმა მას მხოლოდ სასტიკი საყვედური აკმარა. ქათამაძის საქციელის შესახებ იმავე დღეს შეიტყო პარტიულმა ორგანიზაციამ და მისმა მდივანმა ბ. ნარჩემაშვილმა. იმის ნაცვლად, რომ სასტიკად დაეგმო დირექტორის მოქმედება, პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამ საქმეს ყურიც არ ათხოვა.

პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ბ. ნარჩემაშვილის ასეთი ლიბერალიზმი გაკვირვებას როდი იწვევს. 4 ივლისს თვითონ მან გააცდინა სამუშაო დღე. ამას ადასტურებს დოკუმენტები, რომლებიც იმისათვის გაუფორმებიათ, რომ ბ. ნარჩემაშვილი გადაერჩინათ სამართალში მიცემისაგან. საქმეში არსებობს საბარიტის ქუთაისის სამმართველოს ინჟინრის ამხ. ნ. კოსტავას ასეთი მიწერილობა საქმეთა მმართველისადმი (დათარიღებულია 5 ივლისით): „ამხ. ბ. ნარჩემაშვილი 4 ივლისს განთავისუფლებული იყო ი. არსენოვის მიერ და საპატიოთ ჩაუთვალეთო“. ჰქონდა თუ არა არსენოვს სამუშაოდან მუშის განთავისუფლების უფლება? იგი ქარხნის მექანიკოსად მუშაობს და ამის უფლება მას არა აქვს. გაცდენის მეორე დღეს ბ. ნარჩემაშვილმა მართლა დაწერა განცხადება — ოჯახური მდგომარეობის გამო 6 ივლისს გამათავისუფლეთო. ინჟ. ნ. კოსტავამ, რომელიც მაშინ ქარხნის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა, ნარჩემაშვილს შეუსრულა თხოვნა, რადგან მას თითქოს ბავშვი ჰყავდა ავად. მაგრამ ქალაქის პროკურატურის სახელზე გაგზავნილი სიგნალები, რომელთა შემოწმება მეტისმეტად გაჭიანურდა, მოგვითხრობენ, რომ ბ. ნარჩემაშვილი სამუშაოზე მთვრალი გამოცხადდა.

თვითონ დაარღვია რა შრომის დისციპლინა, პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ბ. ნარჩემაშვილმა პირველადი პარტორგანიზაციის კრებაზე მხოლოდ 7 აგვისტოს დააყენა საკითხი შრომის ახალი კანონის გატარების შესახებ, მაგრამ მაშინაც ფორმალური ხასიათი მისცეს ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას. კრებაზე კრინტიც არ დაუძრავთ გამცდენებზე, დამგვიანებლებზე. ნარჩემაშვილის „მოხსენების“ გამო მიღებულ დადგენილებაში კი მხოლოდ ორი მუხლია ჩაწერილი — დაევალოს პარტორგანიზაციის მდივანს ქარხნის ყველა მუშამდე დაიყვანოს 26 ივნისის ბრძანებულება და აგიტატორების საშუალებით ყველა საამქროში მოაწყოს მისი წაკითხვა.

ქარხანა მუდმივ გარღვევაში იმყოფება. ამის გასამართლებლად აქ მრავალ „ობიექტურ“ მიზეზს იშველიებენ, მათ შორის მუშა-ხელის ნაკლებობასაც და ეს მაშინ, როცა 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ ქარხნიდან 10 კაცი გაუშვეს მათი განცხადებით, „ოჯახური მდგომარეობის“ მომიზეზებით.

გამცდენი შ. ქათამაძე და ბ. ნარჩემაშვილი, აგრეთვე ქარხნის დირექტორი კუხიანიძე, რომელმაც დღემდე გააჭიანურა შრომის დეზორგანიზატორთა სამართალში მიცემა, სასტიკად უნდა დაისაჯონ.

გ. ყურაშვილი

პარტიული ცხოვრება

გამოფენისათვის მზადებას სუსტად ხელმძღვანელობენ

(გორი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 1941 წლისათვის განგრძობის შესახებ მძლავრი მოწოდებაა კოლმეურნეობათა შორის სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად. ამ დადგენილების გამოსვლისთანავე გორის რაიონის ზოგიერთმა საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციამ თვალსაჩინოდ გააუმჯობესა მუშაობა, გააძლიერა ხელმძღვანელობა კოლმეურნეობის ყოველდღიური საქმიანობისადმი, დარაზმა კოლმეურნეთა მასები 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის საბრძოლველად.

სოფ. ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწევა მაღალი მოსავლის მისაღებად. კოლმეურნეობაში მომუშავე კომუნისტები პირადი მაგალითის ძალით ამრავლებენ გამოფენის მონაწილეთა რაოდენობას. 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ბერბუკის კოლმეურნეობიდან მონაწილეობას იღებდა 7 კოლმეურნე, ხოლო 1940 წლის გამოფენაში — 19. ეს მიღწეულ იქნა მაღალი აგროტექნიკის დანერგვით და კოლმეურნეობაზე პარტორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვით. პარტორგანიზაციამ მოაწყო 1939 წლის გამოფენის მონაწილეთა მოხსენებები, რომელთა საშუალებითაც მოხდა გამოფენაზე დაგროვილი გამოცდილების გაზიარება.

მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ ბერბუკის კოლმეურნეობა დაჯილდოებულ იქნა მეორე ხარისხის დიპლომით, 5.000 მანეთით და მოტოციკლით, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარე კომუნისტი დ. აბალაკი — ვერცხლის პატარა მედლით.

1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი გახდნენ კომუნისტები: № 1-ლი ბრიგადის ბრიგადირი გ. მერებაშვილი (ახლა პარტორგანიზაციის მდივანი), რომელმაც ერთ ჰექტარზე 700 ცენტნერი კომბოსტო მოიყვანა, მ. მერებაშვილი, ქ. მერებაშვილი და ქ. რუსიტაშვილი. მიმდინარე წლის ივნისში ბერბუკელ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე განხილულ იქნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ“. ახლა კოლმეურნეები თავგამოდებით იბრძვიან კომბოსტოს, პამიდორის, ხილის უხვი მოსავლის მისაღებად, რათა მონაწილეობა მიიღონ 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ბერბუკის კოლმეურნეობა ეჯიბრება კოლმეურნეობა „ბაღბოსტანს“.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ენერგიულად ემზადება სოფელ დიდი-ოხერას ბერიას სახელობის კოლმეურნეობაც. საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი — ე. ნონიკაშვილი) კოლმეურნეთა კრებაზე მოაწყო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 1941 წელსაც განგრძობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების განხილვა. ამჟამად დიდი-ოხერას კოლმეურნეები ჩაბმული არიან შეჯიბრებაში ხიდისთავის კოლმეურნეებთან და იბრძვიან იმისათვის, რომ საშუალოდ ერთ ჰექტარზე მოიყვანონ 600 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 350 ცენტნერი კომბოსტო და 60 ცენტნერი ყურძენი.

მაგრამ რაიონის ზოგიერთ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში დავიწყებას მისცეს ისეთი მნიშვნელოვანი და საპატიო საქმე, როგორიც არის 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადება. ქვემო სკრის კოლმეურნეობა „მესამე ინტერნაციონალთან“ არსებულ საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციას დღემდე არ განუხილავს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ. პარტორგანიზაციის მდივანმა ი. გასიტაშვილმა განაცხადა, ამის შესახებ რაიკომიდან არავითარი დადგენილება არ მიმიღიაო.

ცხადია, გასიტაშვილი დადგენილების მოლოდინშია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს მას; ჯერ-ერთი, 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ არსებობს საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიუროს დადგენილება. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, გამოფენისათვის მზადების შესახებ ჩვენს ცენტრალურ პრესაში თავის დროზე გამოქვეყნებული იყო სათანადო მასალები, რომლებსაც ამხ. გასიტაშვილმა ყურადღება არ მიაქცია. აღნიშნულ კოლმეურნეობას ყველა პირობა მოეპოვება გახდეს მომავალი წლის გამოფენის მონაწილე, მაგრამ პარტორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლას.

ასეთსავე უმოქმედობას იჩენს ზემოსკრის საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი — დ. ოქროშიაშვილი). შედეგი სავალალოა: ზემო და ქვემო-სკრის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ გაჩაღებულა ბრძოლა 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის. საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება, არ აწყობენ 1940 წლის გამოფენის მონაწილეთა მოხსენებებს გამოცდილების გაზიარების მიზნით. იგივე შეიძლება ითქვას შინდისის, ახალდაბის და სხვა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებზეც.

გორის რაიონის საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააჩაღონ ბრძოლა უხვი მოსავლის მისაღებად და ფართოდ გაშალონ 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადება.

ს. ყურაშვილი

თბილისი. ლადო კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლი. სურათზე: კონსულტანტი ამხ. გ. ბიბილეიშვილი ატარებს კონსულტაციას საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. გველესიანი, ნ. ჭავჭანიძე, გ. ბიბილეიშვილი, მ. მგელაძე, ვ. თოფურია.

ფოტო ვ. გინზბურგისა

თეატრალური სეზონის წინ

ახალი შემოქმედებითი ენერგიით

დღეს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი იწყებს ახალ სეზონს. შარშანდელ სეზონში საბჭოთა თეატრების ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები, შეიქმნა ახალი ვითარება, რაც მოითხოვს თეატრალური მუშაობის გარდაქმნას. წლევანდელი სეზონი დიდმნიშვნელოვანია ჩვენთვის აგრეთვე იმის გამო, რომ 1941 წელს სრულდება რუსთაველის თეატრის 20 წლისთავი. ამიტომ თეატრის კოლექტივი უდიდესი პასუხისმგებლობით შეუდგა მუშაობას, რომ სეზონი ჩაატაროს მაღალ იდეურმხატვრულ დონეზე.

თავისი მუშაობის ორი ათეული წლის მანძილზე რუსთაველის თეატრმა შექმნა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი სპექტაკლები, რომელთაგან ცალკეული დადგმები ქართული თეატრალური კულტურის განვითარების თვალსაჩინო ეტაპებს წარმოადგენენ. მაყურებლისათვის ცნობილია, რომ რუსთაველის თეატრი თავისი ძირითადი იდეურ-მხატვრული ტენდენციებით არ წარმოადგენს ესთეტიურ თეატრს ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ჩვენი თეატრი გადაიქცა ახალი თეატრალური კულტურისათვის მებრძოლად, მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის კერად. ამ ნიადაგზე გამომუშავდა რუსთაველის თეატრის ჰეროიკული სტილი, სტილი რომანტიული თეატრისა, რომელიც დაფუძნებულია სინამდვილის რეალისტურ შეგრძნობაზე. თეატრის რომანტიზმის საწყისები უნდა ვეძიოთ ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლაში კომუნიზმის მშენებლობისათვის. ამიტომ იყო, რომ თეატრის რეპერტუარში ასეთი საპატიო ადგილი ეკავა პიესებს თანამედროვე თემაზე, ხოლო ჩვენს მიერ დადგმულ კლასიკურსა და ისტორიულ პიესებში მუდამ ხაზგასმული იყო პროგრესიული იდეურობა, რომელიც ემთხვევა ჩვენი ხალხის თანამედროვეობის მიზანსწრაფვას.

რასაკვირველია, ჩვენი თეატრის განვითარება შეუწყვეტელი აღმავლობის ხაზით არ ვითარდებოდა. რუსთაველის თეატრი მუდამ ძიების თეატრი იყო. ამ გზაზე მას ჰქონდა ტეხილი ხაზებიც. დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენი თეატრის განვითარებას ხალხის მტრებმა, მაგრამ პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობისა და პირადად ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მზრუნველობითა და დახმარებით თეატრმა გადალახა დაბრკოლებანი და უდიდესი ენერგიით აღსავსე შეუდგა ახალ შემოქმედებით მუშაობას.

რუსთაველის თეატრის 1940-41 წლის სეზონის რეპერტუარი თავისი იდეურ-თემატიური შინაარსით წარმოადგენს ჩვენი კოლექტივის შემოქმედებითი გზის ორგანიულ გაგრძელებას. დღეს თეატრი სეზონს იწყებს ს. შანშიაშვილის ახალი პიესით „გიორგი სააკაძე“. დიდი მოურავი ჩვენი ხალხის ცხოვრების უაღრესად რთულ და ტრაგიულ ისტორიულ მომენტში იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისა, შინაგანი მტრების — ფეოდალების დათრგუნვისა, გარეშე მტრების მოგერიებისა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის. გ. სააკაძის უანგარო სიყვარული სამშობლოსადმი, პროგრესიული მიზანდასახულობა, დიდი ვაჟკაცობა და პირადი ცხოვრების ტრაგიულობა სანუკვარი თემაა დრამატურგიული ნაწარმოებისათვის.

ს. შანშიაშვილის პიესაში მოცემულია გ. სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის მომენტები, რომლებიც ჰქმნიდნენ მწვავე დრამატიულ კოლიზიას მის პროგრესიულ მიზანდასახულობასა და მაშინდელ ისტორიულ ვითარებას შორის. პიესა გამსჭვალულია უანგარო სიყვარულით ხალხისადმი, სამშობლოსადმი. პიესის პერსონაჟები სამაგალითონი არიან, როგორც თავდადებული მებრძოლები თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

პიესის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. პატარიძეს, მხატვრული გაფორმება — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. გამრეკელს, მუსიკა — კომპოზიტორს რ. გაბიჩვაძეს. ისტორიული კოლორიტის დაუფლების მიზნით თეატრმა დიდი მუშაობა ჩაატარა XVII საუკუნის საქართველოს ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის შესასწავლად. კონსულტანტებად მუშაობდნენ პროფესორები ს. კაკაბაძე და შ. ამირანაშვილი.

შემდეგ დადგმად თეატრი ამზადებს ა. სუმბათაშვილის „ღალატს“, რომელიც პირველად იდგმება საბჭოთა ქართულ სცენაზე, და რომელმაც რევოლუციამდელ პერიოდში დიდი წარმატება მოიპოვა ქართულ სცენაზე. პიესას დგამს სსრკ სახალხო არტისტი ა. ხორავა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის — ი. გამრეკელს, მუსიკა — ი. ტუსკიას.

სეზონში თეატრი გვიჩვენებს ორ ახალ პიესას: პ. კაკაბაძის „ჯაჭვის ხიდს“ (დადგმა კ. პატარიძისა) და საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისათვის ს. კლდიაშვილის „უკანასკნელ რაინდს“ (დადგმა ა. ვასაძისა). კლასიკური რეპერტუარიდან თეატრი დადგამს მ. გორკის პიესას „ფსკერზე“ და სოფოკლეს ტრაგედიას—„ოიდიპოს მეფე“. უკანასკნელი პიესის დადგმა სირთულის გამო განხორციელდება თბილისის ახალი ცირკის ასპარეზზე.

რუსთაველის თეატრი, მისი კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით იწყებს თავის შემოქმედებითს მუშაობას ახალ სეზონში. თეატრი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მისი შემოქმედებითი მიზანდასახულობა დაიმსახურებს მაყურებლის ყურადღებასა და თანაგრძნობას.

რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრკ სახალხო არტისტი

აკაკი ვასაძე

საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) ალექსანდრე პეტრეს-ძე პოზდნიაკოვი, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1696291 — თვითნებურად წასვლისა და საკანდიდატო ბარათის დატოვებისათვის. 2) გრიგოლ თედორეს-ძე თოლორდავა, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1668076 — საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და სოფლის საბჭოში მუშაობის ჩაშლისათვის. 3) სერგი ალექსანდრეს-ძე ქაშიბაძე, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1260762 — საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და 6 თვის განმავლობაში პარტსაწევროს შეუტანლობისათვის. 4) ალექსი გაბრიელის-ძე ბარნაბიშვილი, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1926 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3073678 — სისტემატური სპეკულაციის, ლოთობის, ხულიგნობისა და 1939 წლის 1 იანვრიდან 1940 წლის აგვისტომდე პარტიულ კრებებზე დაუსწრებლობისათვის.

მ. ზარანდია

საქ. მიწსახკომის საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყ. უფროსი

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლმეურნეობებში

„კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის ისტორიულმა დადგენილებამ ახალ საფეხურზე აიყვანა კოლმეურნეობებში სოციალისტური შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა შორის შექმნა ენთუზიაზმი და კიდევ უფრო განამტკიცა შრომისადმი სიყვარული. ორდენოსან საქართველოში 27 მაისის დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობებმა მიაღწიეს მუშახელის სწორად გამოყენებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს დაძაბული მუშაობის პერიოდში ჩაის კრეფაში კოლმეურნეობის მთელი მუშახელის მხოლოდ 50-55 პროცენტი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. 353 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან მაის-ივნისში საშუალოდ მუშაობდა 180-190 კაცი, მიმდინარე წელს კი გაცილებით უფრო ორგანიზებულად მუშაობენ: მთელი მუშახელის 70-80 პროცენტი გამოყენებულია. გურჯაანის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში 1939 წელს სამუშაოზე გამოდიოდა კოლმეურნეთა 45 პროცენტი ე. ი. 546 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან მხოლოდ 213-220 კოლმეურნე მუშაობდა. მიმდინარე წელს კი მუშახელი მაქსიმალურად არის გამოყენებული და მოსავალიც დროზე აიღეს.

ზესტაფონის რაიონის სოფ. ქვემოსაზანოს 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობაში რგოლური სისტემის დანერგვამ დიდი შედეგი გამოიღო, ავიღოთ, მაგალითად, ამ კოლმეურნეობის პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ამხ. ღონღაძე), სადაც მოწყობილია 2 რგოლი. პირველ რგოლზე მიმაგრებულია 7 ჰექტარი ვენახი, მეორეზე — 6 ჰექტარი. მათი ფართობები საუკეთესოდ არის მოვლილი. ბრიგადაში და რგოლებში დანერგილია მუშაობის ინდივიდუალური სანარდო სისტემა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას, პირველად აღრიცხვას და სხვ. ამით აიხსნება, რომ ამხ. ღონღაძის ბრიგადამ ჰექტარი ვენახიდან 125 ცენტნერი ყურძნის მოსავალი მიიღო, როცა ამ კოლმეურნეობაში საშუალო მოსავალი 116 ცენტნერია. ეს ბრიგადა 1939-1940 წლებში მონაწილეობას იღებდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და ახლა წარმატებით ემზადება 1941 წლის გამოფენისათვის. მსგავსი ფაქტები ბევრია.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებათა დათვალიერებას — მოწინავე მოძმე რესპუბლიკებთან ერთად საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოს აყვავებულ სოფლის მეურნეობას და ეს გამარჯვება უშუალოდ დაკავშირებულია დიდი **სტალინის** თანამებრძოლის ამხ. **ლ. პ. ბერიას** სახელთან.

„მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების“ შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება კოლმეურნეობებს ავალებს სამუშაო დროის სრული დატვირთვით გამოყენებას.

მაგრამ საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში დისციპლინა და შრომის ორგანიზაცია არ არის დაყენებული ისე, როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები.

ზოგიერთი კოლმეურნე აშკარად გაურბის საკოლმეურნეო შრომას, რითაც დეზორგანიზაცია შეაქვს კოლმეურნეთა შორის და ქმნის პირობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩაშლისათვის. ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში 1940 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე არცერთი შრომადღე არ ჰქონდა გამომუშავებული 283 შრომისუნარიან კოლმეურნეს, ხოლო ამავე რიცხვისათვის 30-მდე შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული 746 კოლმეურნეს. ეს იმას მოწმობს, რომ ქობულეთის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად ტარდება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გასული წლის 27 მაისის დადგენილება.

სოფ. ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში (ქარელის რაიონი) 552 შრომისუნარიანი კოლმეურნეა. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე არცერთი შრომადღე არ ჰქონდა გამომუშავებული 36 კოლმეურნეს, ხოლო ამავე ხნის განმავლობაში 40-მდე შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული 220 კოლმეურნეს; აშკარაა, რომ ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები სუსტ მუშაობას ეწევიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

გურჯაანის რაიონის სოფ. ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის“ წევრს მარუსა ბეჟანიშვილს, სოფ. ზემო-გურჯაანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს გიგუშა არაქელოვს, სოფ. კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში საშა მთიულიშვილს და სხვ. არასაპატიო მიზეზით სრულიად არ უმუშავნიათ მიმდინარე წლის პირველ აგვისტომდე. ამ შრომის დეზერტირების და დეზორგანიზატორების მიმართ ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს გადამჭრელი ზომები არ მიუღიათ.

ზოგან ადგილი აქვს სამუშაოზე დაგვიანებით გასვლას. ამის გამო მთელ რიგ შემთხვევებში არ სრულდება გამომუშავების ნორმები, რომლებიც მიღებულია კოლმეურნეთა საერთო კრებაზე. ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 11 ივლისს მესამე და მეოთხე ბრიგადები სიმინდის სათოხნად დილის 10 საათზე გავიდნენ და სამუშაოდან ადრე დაბრუნდნენ. არის ფაქტები, როდესაც კოლმეურნეები გამგეობის ნებართვის გარეშე მიდიან გარე სამუშაოზე და მათ მიმართ კოლმეურნეთა ხელმძღვანელები არავითარ ზომებს არ იღებენ.

ზოგჯერ კოლმეურნეები ავადმყოფობის მომიზეზებით არ მუშაობენ ფიზიკურად და იმის ნაცვლად, რომ ასეთ არაჯანსაღ მოვლენას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს, ჯანმრთელობის განყოფილების ზოგიერთი მუშაკი ხელს უწყობს მას. მაგალითად, ჭიათურის რაიონის სოფ. შუქრუთში მცხოვრებ კოლმეურნე ბაბილინა კაპანაძეს ჭიათურის პოლიკლინიკიდან მისცეს მოწმობა, რომ კაპანაძეს არ შეუძლია ფიზიკური მუშაობა, კოლმეურნეობის მიერ გაცემულ მოწმობაში კი ვკითხულობთ: კოლმეურნე კაპანაძე სანიმუშოდ მუშაობს კოლმეურნეობაში ფიზიკურად, არა ერთხელ ყოფილა ის წითელ დაფაზე სტახანოვური მუშაობისათვის.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კოლმეურნე მარტო იმაზე „ზრუნავს“, რომ მხოლოდმხოლოდ დაწესებული შრომადღეების მინიმუმი გამოიმუშაოს და ამით შეინარჩუნოს კოლმეურნის უფლებები. ეს მავნე ტენდენცია ძირშივე უნდა აღიკვეთოს. კოლმეურნის მოვალეობაა სისტემატურად იმუშაოს კოლმეურნეობაში, სრული დატვირთვით გამოიყენოს სამუშაო დრო და შრომადღეთა მაქსიმუმს მიაღწიოს.

მთელ რიგ რაიონებში საკოლმეურნეო საბავშვო ბაგების, მოედნებისა და ბაღების სუსტი მუშაობის შედეგად ხელი ეშლება ქალთა შრომის გამოყენებას. კოლმეურნეობებში საბავშვო დაწესებულებათა მუშაობას ცუდად ხელმძღვანელობს მთელი რიგი რაიონების სამიწათმოქმედო ორგანოები.

გურჯაანის რაიონის სოფ. ზემოგურჯაანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული საბავშვო ბაღი დაკეტეს იმიტომ, რომ ბავშვების კვება ვერ მოაწყეს. ხაშურის რაიონის სოფ. წრომის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში არსებული საბავშვო ბაგა არ მუშაობს ბინის უქონლობის გამო. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვემოშუხუთის კოლმეურნეობაში — „საბჭოთა გმირები“ — საბავშვო ბაგა უყურადღებოდ არის მიტოვებული, ბაგაში უსუფთაობაა, კვება უვარგისია, არ გააჩნიათ საჭირო ინვენტარი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო წარმოებაში სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებას. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-13 მუხლის თანახმად კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს მუშაობის შინაგანაწესი, რომელშიაც მოცემული უნდა იყოს კოლმეურნეობის მთელი სამუშაოს შესრულების დრო და კონკრეტული წესები. უამისოდ შრომის მოწესრიგებაზე ლაპარაკი ლიტონი სიტყვა იქნება.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ თავის დროზე და ზუსტად უნდა მოიყვანონ სისრულეში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მე-17 მუხლში ჩამოთვლილი ყველა ღონისძიება, რის შემდეგ პირდაპირ უნდა დაისვას გამოუსწორებელი კოლმეურნის გარიცხვის საკითხი. საჭიროა კოლმეურნეობის კრებაზე თვითეული კოლმეურნის მოქმედების გულდასმით, პერსონალური გარჩევა ყველა კოლმეურნის აქტიური მონაწილეობით. კოლმეურნეობებში მტკიცედ უნდა დავნერგოთ მუშაობის და აღრიცხვის ინდივიდუალური სანარდო სისტემა და ავკვეთოთ სანარდო ჯგუფური წესი, რომლის დროსაც შესრულებულ სამუშაოს აღრიცხავენ ჯგუფურად და დახარჯულ შრომადღეებს „თანაბრად“ აწერენ ჯგუფის ყველა წევრს. ეს ხელს უწყობს დისციპლინის დარღვევას და აბრკოლებს კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნის ყოველდღიურ გამოვლინებას.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბრიგადირების და რგოლის ხელმძღვანელების უშუალო მონაწილეობით კოლმეურნეობის გამგეობას ჰქონდეს კოლმეურნეთა სამუშაოზე გამოსვლის ყოველდღიური აღრიცხვა, იმის აუცილებელი აღნიშვნით, თუ ვინ რა დროს გამოდის სამუშაოზე. ამისათვის კარგი იქნება თუ ბრიგადირებს და რგოლის ხელმძღვანელებს ყოველი დღის წინა საღამოს გამგეობისაგან მიეცემა მეორე დღის მუშაობის კონკრეტული განრიგი და კოლმეურნეობის გამგეობა შესაძლებლობის მიხედვით შემოიღებს სიგნალს დილით სამუშაოზე გასვლისათვის. ბრიგადირებს და რგოლის ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან ბრიგადებსა და რგოლებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ზოგიერთი რაიონის საკოლმეურნეო ბრიგადებში ყველა მუშახელი არ არის განაწილებული, რგოლები ფორმალურად არის მოწყობილი. მაგალითად, მახარაძის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არსებობს ისეთი პრაქტიკა, როდესაც მუშახელი დაყოფილი ჰყავთ „გეგმიანად და გეგმის გარეშე“, რის გამო ყველა კოლმეურნე არ არის განაწილებული ბრიგადებსა და რგოლებში. ქარელის რაიონის სოფ. რუისის კოლმეურნეობაში რგოლების გვერდის ავლით სიმინდის ფართობი ერთი წლით მიამაგრეს ცალკე კოლმეურნეებზე; სამუშაოთა ამგვარი განაწილება იწვევს მუშახელის არასწორ დატვირთვას და ასუსტებს ბრიგადირების და რგოლების ხელმძღვანელთა ყოველდღიურ კონტროლს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხისადმი. ამავე რაიონის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში საორიენტაციოდ დაშვებული ნორმები სრულიად არ განუხილავთ, ამიტომ შაქრის ჭარხლის მთელ რიგ სამუშაოთა ნორმები არ გააჩნიათ და კოლმეურნეებს შრომადღეები ერიცხებათ კოლმეურნეობის თავმჯდომარის და მოანგარიშის „შეხედულებისამებრ“, მათი „განკარგულებით“.

კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის დარღვევას იწვევს ისიც, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენენ შრომის დეზერტირთა მიმართ, თავის დროზე არ იხილავენ დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, რის გამო საკოლმეურნეო წარმოებაში მუშაობის გამცდენნი არხეინად გრძნობენ თავს და სარგებლობენ ყველა იმ სიკეთით, რომლებითაც სარგებლობს კოლმეურნეობის პატიოსანი წევრი.

ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომი დაგვიანებით იხილავს კოლმეურნეობიდან გარიცხულთა საქმეებს. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფ. ზემო-გურჯაანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობიდან მიმდინარე წლის 22 თებერვალს გარიცხეს ოლა ზარდიაშვილი. გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომმა ზარდიაშვილის საქმე განიხილა 22 ივლისს, ე. ი. მისი გარიცხვიდან 5 თვის შემდეგ. ასეთი პრაქტიკის შედეგად, კოლმეურნეობიდან სრულიად სამართლიანად გარიცხულებიც დიდხანს განაგრძობენ კოლმეურნის უფლებებით სარგებლობას.

„მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის მოწესრიგებას, რადგან ეს არის მორიგ ახალ გამარჯვებათა საწინდარი.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 8 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობას: „ჩვენი ავიაციის თავდასხმა, ლონდონის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებზე, რაც 6 სექტემბერს ღამით დაიწყო, უფრო დიდი ძალებით გაგრძელდა 7 სექტემბერს დღისით და ღამით. ეს თავდასხმა პასუხია იმისა, რომ ამ ბოლო დროს ინგლისის ავიაციამ გააძლიერა ღამის თავდასხმა საცხოვრებელ უბნებზე და გერმანიის სხვა არასამხედრო ობიექტებზე. რაიხსმარშალი გერინგი პირადად ხელმძღვანელობს ამ ოპერაციებს ჩრდილოეთ საფრანგეთიდან. გერმანიის თვითმფრინავებმა, რომელთაც განუწყვეტლივ მიჰქონდათ იერიში, 1 მილიონ კილოგრამზე მეტი ყუმბარები დააყარეს სანავსადგურო და სამრეწველო რაიონს. დაზიანებულია სანაპირო ქუჩები, სავაჭრო გემები, დოკები, ბელლები, ჰიდროელსადგურები, გაზის ქარხნები, არსენალები და სატრანსპორტო ნაგებობანი. ამ ობიექტთა ნაწილი მოსპობილია.

გერმანიის ავიაცია რამდენჯერმე დაესხა თავს აგრეთვე ტემზ-ჰავენის ნავთსაცავებსა და დოკებს, ჩატემის ფეთქებად ნივთიერებათა ქარხნებს და ჰოკინგის (კენტის საგრაფო) აეროდრომს. გარდა ამისა, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამრეწველო საწარმოებსა და სავაჭრო ნაგებობებს ლივერპულსა, მანჩესტერსა, ბირმინჰამსა, კარდიფსა, ბრისტოლსა, საუთჰემპტონსა, პორტსმუტსა, პორტლანდსა და ათობით სხვა პუნქტში.

7 სექტემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს გერმანიას. ინგლისის თვითმფრინავთა ნაწილმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის რაიონებში. ყუმბარებს არავითარი ზიანი არ მოუყენებიათ. ინგლისის ყუმბარმშენთა მეორე ნაწილმა სცადა კურსი აეღო ბერლინისაკენ, მაგრამ, წააწყდა რა გერმანიის საზენიტო არტილერიის ძლიერ ცეცხლს, უკან გაბრუნდა. გუშინდელი საჰაერო ბრძოლის დროს მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 94 თვითმფრინავი. გერმანიის 26 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის 5 შეიარაღებული სავაჭრო გემი 33.400 რეგისტრული ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა. გერმანიის სატორპედო კატარღებმა ჩასძირეს 3 გემი 11.000 რეგისტრული ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა".

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო აქვეყნებს შემდეგ კომუნიკეს: „6 სექტემბერს, ღამით, ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა მრავალ სამხედრო ობიექტზე გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში. ბერლინის რაიონში ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ელექტროსადგურს, ნავთსაცავებსა და საქონლის სადგურს. სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ტყეებში ავიაციამ ხანძარი გაუჩინა სხვა სამხედრო ობიექტებს. რურისა და რაინის ოლქებში ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აეროდრომებს, რკინიგზებსა და სხვა ობიექტებს. დაზიანებულია აეროდრომები ბენლოში, კალესა და დიუნკერკის მახლობლად, აგრეთვე ორი საარტილერიო ბატარია კალეს მახლობლად. ორი ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა".

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ოფიციალურ ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ 7 სექტემბერს დღისით და ღამით, „მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა ტემზის ორივე ნაპირზე ლონდონის აღმოსავლეთით, სადაც გამოწვეულ იქნა რამდენიმე ხანძარი. აქ მიყენებულია დიდი ზარალი და მცხოვრებთა ერთი ნაწილი უსახლკაროდ დარჩა. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე საწარმოებს, რომლებიც სერიოზულად არის დაზიანებული. რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს ლონდონის ნავსადგურის დოკებში. დიდი ხანძარი გაჩნდა სამხრეთ დოკებში ტემზაზე.

ლონდონის ცენტრში რამდენიმე ადგილას გაჩნდა ხანძარი და სხვადასხვა რაიონში განადგურებულია საცხოვრებელი სახლები".

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინდელი საჰაერო განგაში ლონდონის რაიონში 8 საათსა და 17 წუთს გაგრძელდა. ეს ყველაზე ხანგრძლივი განგაში იყო ომის განმავლობაში.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ „გუშინდელი საჰაერო იერიშების დროს ლონდონის რაიონში მოკლულია 400-მდე კაცი და სერიოზულად დაჭრილია 1.400-მდე კაცი. გერმანიის 88 თვითმფრინავი განადგურებულ იქნა გუშინდელი დღის განმავლობაში. ინგლისის 22 ავიაგამანადგურებელი არ დაბრუნებულა თავის ბაზაში, მაგრამ 8 მფრინავი გადარჩა".

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ტაიმსი" სწერს, რომ 18 ივნისიდან 5 სექტემბრამდე გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა 1.581 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 437 ავიაგამანადგურებელი.

იუწყებიან აგრეთვე, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისის გემებზე გერმანიის თვითმფრინავთა თავდასხმის დროს გერმანელებმა გამოიყენეს ყუმბარები, რომელთა გარსი გაკეთებულია არა ფოლადისა, არამედ ბეტონისაგან.

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისში ჩამოვიდნენ ახალზელანდიის მეზღვაურთა და მფრინავთა ახალი კონტინგენტები.

ინგლის-იტალიის ომი

რომი, 8 სექტემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება: „იტალიის ერთერთმა წყალქვეშა ნავმა გიბრალტარის მახლობლად ჩასძირა ინგლისის სამხედრო გემი. ჩვენმა ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს მალტის არსენალზე, ხანძარი და ნგრევა გამოიწვიეს იქ, აგრეთვე დააზიანეს მტრის წყალქვეშა ნავი, რომელიც დოკში იდგა. საჰაერო ბრძოლის დროს დაიღუპა მტრის ორი თვითმფრინავი. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. თვითმფრინავებზე დაჭრილია რამდენიმე კაცი.

იტალიის თვითმფრინავთა მეორე შენაერთმა ყუმბარები დაუშინა ადენის ნავსადგურს და საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდო მტრის ერთი ავიაგამანადგურებელი. იტალიელებს ზარალი არ მოსვლიათ".

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან იუწყება, რომ 6 სექტემბერს მტრის ავიაცია სამჯერ დაესხა თავს მერსა-მატრუხს (ეგვიპტის ნავსადგური). ბომბარდირებას ერთგვარი ზარალი მოჰყვა. პალესტინაში 6 სექტემბერს, ნაშუადღევს, მტრის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ჰაიფას. საზენიტო არტილერიის მოქმედებით მტერი უკუქცეულ იქნა ისე, რომ ზარალი არ მოუყენებია.

ამერიკის საესკადრო ნაღმოსნების ჩასვლა კანადაში

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). ინგლისურ გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" კორესპონდენტი, რომელიც აღმოსავლეთ კანადის ერთერთ ნავსადგურში იმყოფება, გადმოგვცემს, რომ იქ ჩავიდა ამერიკის იმ საესკადრო ნაღმოსნების პირველი პარტია, რომლებიც ინგლისის წარმომადგენლებს უნდა გადაეცეს. კორესპონდენტის სიტყვით საესკადრო ნაღმოსნები ბოსტონიდან მოვიდნენ. გუშინ შესრულებულ იქნა ამერიკის ბაირაღის ჩამოშვებისა და ინგლისის საზღვაო ბაირაღის აღმართვის ცერემონია. საესკადრო ნაღმოსან „რასელით" მოვიდა ამერიკის კონსული, რომელმაც უნდა გადასჭრას ნაღმოსნების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

საფრანგეთის ყოფილი მინისტრების დაპატიმრება

ბერლინი, 7 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დააპატიმრეს დალადიე, რეინო და გამელენი და მოათავსეს ციხეში ქალ. რიომის მახლობლად, სადაც საფრანგეთის უმაღლესი სასამართლო იმყოფება.

ბერლინი, 8 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ვიშიდან გადმოგვცემს ოფიციალურ ცნობას, რომ რეინოს, დალადიესა და გამელენის გარდა, დაპატიმრებულია საფრანგეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მანდელი, რომელიც დღემდე მეკნესში ცხოვრობდა.

საფრანგეთის მთავრობის ღონისძიებანი

ბერლინი, 7 სექტემბერი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო ვიშიდან გადმოგვცემს ცნობას, რომ საფრანგეთის მთავრობამ საფრანგეთის მოქალაქეობა ჩამოართვა პიერ კოტს, ედუარდ მორიცს და რობერტ როტშილდს, ანრი დე კერილისს, ტაბუის, ემილ ბიურეს, ანდრე ჟეროს (პერტინაქსი), გაზეთ „პტი პარიზიენის" ყოფილ მთავარ რედაქტორს ელი ბუას და სხვებს.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში ხენანის პროვინციის ჩრდილოეთით ჩინეთის ჯარი ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ უტევს.

შანსის პროვინციაში ჩინელებს იერიში მიაქვთ იაპონიის გარნიზონებზე ჩენდინ-ტაიუანის რკინიგზის გასწვრივ.

სამხრეთ ჩინეთში უცხოეთის წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ჩუშანის რაიონში კანტონის სამხრეთით, ბრძოლა სწარმოებს იაპონელებსა და მარიონეტულ ხელისუფალთა აჯანყებულ ჯარებს შორის.

ჩინელი პარტიზანები შეიჭრნენ კანტონში, სადაც ცეცხლი წაუკიდეს იაპონელთა ზოგიერთ ყაზარმას, რის შემდეგ თავიანთი ბაზებისაკენ დაიხიეს.

ცენტრალურ ჩინეთში ძიანსუს პროვინციის სამხრეთ ნაწილში აღნიშნულია ჩინეთის ჯარის აქტიობა მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე, სადაც მათ რამდენიმე პუნქტი დაიკავეს.

7 სექტემბერი (საკდესი).

იაპონიის პრესა ინგლის-ამერიკის შეთანხმების შესახებ

ტოკიო, 8 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ხოჩი" სარედაქციო სტატიაში სათაურით „ინგლის-ამერიკის საერთო შემოტევა წყნარ ოკეანეში" სწერს: „იაპონიამ უნდა განაგრძოს იმ მნიშვნელოვანი მისიის განხორციელება, რომელიც იაპონიის ნაციას აქვს დაკისრებული და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველჰყოს აღმოსავლეთ აზიის სფეროს უშიშროება ისე, რომ ანგარიში არ გაუწიოს ინგლისისა და ამერიკის შესაძლო ჩარევას აღმოსავლეთ აზიის სფეროს საქმეებში. საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთი და ჰოლანდიის ინდოეთი აღმოსავლეთ აზიის სფეროს განუყრელ ნაწილს შეადგენენ, როგორც ეს განაცხადა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ და ახლანდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაცუოკამ". შემდეგ გაზეთი „ხოჩი" აცხადებს, რომ არიტას სიტყვები აღმოსავლეთ აზიაში სტატუს-ქვოს შენარჩუნების შესახებ „არ გულისხმობენ იმას, რომ შენარჩუნებულ იქნას უსამართლო და არაგონივრული სტატუსი, რომელსაც ამჟამად ემორჩილება როგორც საფრანგეთის ინდოჩინეთი, ისე ჰოლანდიის ინდოეთიც". „საფრანგეთის ინდოჩინეთი და ჰოლანდიის ინდოეთი, სწერს გაზეთი, განუყრელად არიან დაკავშირებული იაპონიასთან გეოგრაფიულად, ისტორიულად, ეკონომიურად და რასობრივად. ეს ფაქტი საუკეთესოდ ადასტურებს იმას, თუ რამდენად ბუნებრივია აღმოსავლეთ აზიის საერთო აყვავების სფეროს შექმნა".

„ინგლისისა და ამერიკის ცდა — შეინარჩუნონ აღმოსავლეთ აზიაში ახლანდელი უსამართლო სტატუსი, — სწერს შემდეგ „ხოჩი", — ისტორიულ აუცილებლობას ეწინააღმდეგება".

გაზეთი „იომიური" სწერს, რომ შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს სტატუს-ქვო აღმოსავლეთისა და აზიის წყლებში, რომლებიც ამერიკას ერტყმიან გარს, როდესაც მათ იჯარით აიღეს კუნძულები ინგლისისა და კოსტარიკისაგან. „თუ ამერიკას, როგორც დასავლეთის ნახევარსფეროს წამყვან სახელმწიფოს, შეუძლია შესცვალოს სტატუს-ქვო თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, მაშინ ინგლისმა და ამერიკამ ასეთივე უფლება უნდა მიანიჭონ იაპონიასაც აღმოსავლეთ აზიაში მაინც, სადაც იაპონიას რეალური ძალა მოეპოვება. რატომ არის, რომ ინგლისი და ამერიკა თავისუფლად მოქმედებენ დასავლეთ ნახევარსფეროში იმ დროს, როდესაც იაპონიის ბუნებრივი მოთხოვნები აღმოსავლეთ აზიის მიმართ უარყოფილია?"

მემარცხენე ორგანიზაციების დევნა ინდოეთში

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ინდოეთის ლიგის ყოველთვიური ბიულეტენის ცნობებით, ინგლისის ხელისუფალნი ინდოეთში, ცდილობენ რა ხელი შეუშალონ ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის გაფართოებას, ბევრ მემარცხენე მოღვაწეს აპატიმრებენ.

ბიულეტენს მოჰყავს ამას წინათ დაპატიმრებული ბევრი მემარცხენე ინდოელი მოღვაწის გვარების მთელი სია, რომელთაგან ბევრს უკვე მისჯილი აქვს პატიმრობა სხვადასხვა ვადით. მათ შორის არიან: ინდოეთის ნაციონალური კონგრესის კომიტეტის მდივანი კაუნპურში შასტრი, კონგრესის კომიტეტის გენერალური მდივანი ლაკნაუში ბანერჯი, გლეხთა მოძრაობის ერთერთი ლიდერი და საკანონმდებლო ასამბლეის წევრი, პროფესორი განგარიარი, სრულიად-ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე მუკერჯი და სხვა მრავალი. მათ უმრავლესობას მისჯილი აქვს 2 წლამდე პატიმრობა და დიდი ფულადი ჯარიმა.

ამავე დროს, აღნიშნავს ბიულეტენი, ინგლისის ხელისუფალნი მასობრივად აპატიმრებენ მუშებს გაფიცვებში მონაწილეობის მიღებისათვის. მაგალითად, ალაჰაბადში მოხდა გაფიცვა, რამაც ერთ თვეზე მეტს გასტანა, ამ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის რკინიგზის 36 მებარგულე დააპატიმრეს. კალკუტაში დააპატიმრეს 10 მუშა იმისათვის, რომ მათ მოაწყეს სახსრების შეგროვება ბიხარის პროვინციის გაფიცულ მაღაროელთა დასახმარებლად.

მდგომარეობა ბირმაში

ჩუნცინი, 8 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „დაგუნბაოს" საკუთარი კორესპონდენტი რანგუნიდან (ბირმა) იუწყება, რომ შარშან ევროპის ომის დაწყების შემდეგ ბირმაში მოეწყო „თავისუფლების კავშირი". ამ კავშირში შევიდნენ ზოგიერთი პარტია და დაჯგუფებანი, რომლებიც ბირმის ნაციონალური განთავისუფლებისათვის იბრძვიან. მიმდინარე წლის მაისიდან რეაქციულმა მთავრობამ ინგლისის კოლონიების უმაღლესი კომისრის ზეგავლენით გააძლიერა ტერორი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავდაცვის კანონის საფუძველზე დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს სხვადასხვა პარტიების ბევრი აქტიური ხელმძღვანელი, გარეკეს მასობრივი ორგანიზაციები, დახურეს პროგრესიული გაზეთები, ჟურნალები და აკრძალეს ზოგიერთი წიგნის გაყიდვა. 26 აგვისტოს რანგუნში შესდგა 40 პარტიის, ჯგუფებისა და მასობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი. თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „ბირმის ხალხი მოითხოვს მიეცეს ბირმას თავისუფლება და დამოუკიდებლობა". თათბირმა დაჰგმო გადაწყვეტილება ინგლისის მთავრობისა, რომელმაც ბირმის სახელით გერმანიას ომი გამოუცხადა.

იმავე კორესპონდენტის სიტყვით, ბირმაში გაჩაღდა აქტიური მუშაობა იმისათვის, რომ შეიქმნას ინდოეთის ნაციონალური კონგრესის მსგავსი დიდი პარტია.

მოკლე ცნობები

⊙ ინგლისში ჩავიდა კანადის ჯარი და რამდენიმე ასეული ამერიკელი მოხალისე.

⊙ საფრანგეთის მთავრობამ გააუქმა 1904 წლის კანონი, რომლის მიხედვითაც რელიგიურ საზოგადოებებს აკრძალული ჰქონდათ ხელმძღვანელობა გაეწიათ სწავლისათვის სამოქალაქო სკოლებში.

⊙ ტოკიოში გაჩნდა ძილის ავადმყოფობის ეპიდემია. დაავადებულთა შორის სიკვდილიანობა 56 პროცენტს უდრის.

ლვოვის ჩოგბურთელები (მარცხნიდან მარჯვნივ): ლვოვის ჩემპიონი ჩაიკოვსკი, ცოლქმარი კოლჩები და სსრკ ჩემპიონი ჩოგბურთში გებდა (ლვოვი).

ფოტო ვ. გინზბურგისა

ჩოგბურთი

თბილისი—ლვოვი

8 სექტემბერს თბილისის საჩოგბურთო მოედანზე შესდგა ამხანაგური შეჯიბრება ლვოვისა და თბილისის ჩოგბურთელთა შორის. ლვოვიდან მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ჩოგბურთში ი. გებდა, ჩაიკოვსკი და ცოლქმარი კოლჩები. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ლვოველი ჩოგბურთელი ჩაიკოვსკის შეხვედრა თბილისელ ვ. სერებრენიკოვთან. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:0 ჩაიკოვსკის სასარგებლოდ.

მატჩი ჩოგბურთელ ქალებს კოლჩის (ლვოვი) და ჩიმერინს (თბილისი) შორის დამთავრდა ჩიმერინს გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

მამაკაცებში კოლჩმა (ლვოვი) მოუგო ვ. ელერდაშვილს (თბილისი) ანგარიშით 2:1.

ყველაზე უფრო საინტერესო იყო სსრ კავშირის ჩემპიონის ი. გებდას შეხვედრა საქართველოს ერთერთ საუკეთესო ჩოგბურთელ გულიაშვილთან. ი. გებდამ გვიჩვენა თამაშის ბრწყინვალე კლასი. პირველი სეტი მოიგო გებდამ ანგარიშით 6:2. მეორე სეტში გულიაშვილმა მოიგო მხოლოდ ერთი გეიმი, ხოლო გებდამ სილამაზითა და ტექნიკით შესანიშნავი თამაშით ორ სეტში, მოიგო.

წყვილად თამაშში ცოლქმარმა კოლჩებმა მოუგეს ზაკ-სერებრენიკოვს ანგარიშით 2:1.

საინტერესო იყო ჩაიკოვსკისა და გებდას შეხვედრა სერებრენიკოვთან და გულიაშვილთან. თბილისელებმა პირველ სეტში მხოლოდ ორი გეიმი მოიგეს. მეორე სეტი დამთავრდა მათი დამარცხებით ანგარიშით 0:6. მატჩი მოიგეს ლვოველებმა ანგარიშით 2:0. პირველი დღის მატჩის შედეგია 5:1 ლვოვის სასარგებლოდ.

ვ. ვ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატში

8 სექტემბერს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატში სახალხო კომისრის ამხ. ა. ჩხეტიანის თავმჯდომარეობით ჩატარდა ქ. თბილისის და თიანეთის რაიონის სახალხო მოსამართლეების თათბირი შრომის დისციპლინის დარღვევის, წვრილმანი ქურდობის, ხულიგნობის, სპეკულაციისა და გაფლანგვა-მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

თათბირზე ამხ. ა. ჩხეტიანმა სახალხო მოსამართლეებს მიუთითა მათს მუშაობაში არსებულ ცალკეულ შეცდომებზე. მოსამართლეებს დაევალათ შრომის დეზორგანიზატორების მიმართ გამოტანილი განაჩენები დაუყოვნებლივ მოიყვანონ სისრულეში და ზუსტად გაატარონ ცხოვრებაში 10 აგვისტოს ბრძანებულება.

სახალხო მოსამართლეებს წინადადება მიეცა გამფლანგველ-მტაცებელთა საქმეების განხილვა დაამთავრონ 1 ოქტომბრამდე, არ დაუშვან ლიბერალური განაჩენების გამოტანა და მთელი სისასტიკით გაატარონ კანონი გარჩევის ვადების ზუსტად დაცვით.

სახალხო მოსამართლეებს დაევალათ აგრეთვე გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეებზე აღმასრულებელი ფურცლების შესრულება დაამთავრონ 10 ოქტომბრისათვის.

სასამართლო

„გულკეთილი" ლუკაშინი

(ბათუმი, საკ. კორ.)

ამ დღეებში ქ. ბათუმის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ა. დოლაქიშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია შრომის დეზორგანიზატორთა მფარველის ტ. პ. ლუკაშინის საქმე.

სასამართლო პროცესზე დადასტურდა, რომ ტ. პ. ლუკაშინი, მუშაობდა რა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის დირექტორის მოადგილედ, ხელს უწყობდა შრომის დისციპლინის დამრღვევთ პასუხისმგებლობიდან თავის დაღწევაში. მან უხეშად შეებულებად გაუფორმა ორი გაცდენილი დღე ქარხნის მესამე საამქროს გამწმენდავ მომუშავე აკ. მელაძეს და ერთი საათისა და 40 წუთის დაგვიანებისათვის საყვედური გამოუცხადა ბუღალტერ ლ. პოლიკარპოვას.

სასამართლომ შრომის დეზორგანიზატორთა აშკარა მფარველობისათვის ტ. პ. ლუკაშინს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთნახევარი წლით, პასუხისგებაში მისცა აგრეთვე შრომის დეზორგანიზატორები ა. მელაძე და ლ. პოლიკარპოვა.

ქ. დობორჯგინიძე.

ქუჩებში მიმოსვლის წესები

საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის მილიციის სამმართველოს სახავტოინსპექციამ გამოუშვა წიგნი „ქალაქ თბილისის ქუჩებში მიმოსვლის წესები".

წიგნში მოყვანილია ქუჩაში მიმოსვლის წესები, რომლებიც მოქმედებს მთელ სსრ კავშირის ტერიტორიაზე. წიგნი ღირს მანეთნახევარი. მასში 85 გვერდია. სახელმძღვანელოს დართული აქვს სსრ კავშირის სტანდარტულ საგზაო ნიშანთა ფურცელი. ნიშნები შესრულებულია სხვადასხვა საღებავით.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

ა. წ. 10 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგება **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის IV პლენუმი**, შემდეგი დღის წესრიგით:

1. პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის და თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციებში. (მომხს. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. კუჭავა და ავტოსარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. მამონტოვი).

2. ანგარიში 1940 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ (მომხს. ამხ. კლემჩენკო).

რაიკომის მდივანი **მ. ჩუბინიძე.**

○

ა/წ. 11 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქუჩა № 2) შესდგება **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის IV პლენუმი**, შემდეგი დღის წესრიგით:

1. რაიონში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. გოგისვანიძე).

2. ანგარიში 1940 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე სტალინის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ. (მომხსენებელი ამხ. ახვლედიანი).

რაიკომის მდივანი **გოგისვანიძე.**

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: რუსთაველის სახელობის — „გიორგი სააკაძე" (1 აბ. 1 წარმ.), გრიბოედოვის სახელობის — „ერნანი".

კინოებში: რუსთაველის სახ. — „საბჭოთა პატრიოტი", ოქტომბერი — „ექიმი კალიუჟნი", დამკვრელი (ზამთრისა და ზაფხულის) — „საბჭოთა პატრიოტი", კომკავშირელი (ზამთრის) — „ახალი დროება", კომკავშირელი (ზაფხულის) — „ჯულბარსი", სპარტაკი — „ნამუსი", ლუქსემბურგის სახ. — „უკანასკნელი ჯვაროსნები", 26 კომ. სახ. (ზამთრის) — „გიული", 26 კომ. სახ. (ზაფხულის) — „ჩემი სიყვარული", კომინტერნი — „მანერჰაიმის ხაზი", განთიადი — „პეპო", წითელი არმიის სახლი — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა", ორჯონიკიძის სახ. პარკი — „ყოველდღიურობა", ვოროშილოვის სახ. კლუბი — „ჩემი სიყვარული".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

11 სექტემბერს სეზონის გახსნა
1-ლი აბონ. 1-ლი წარმოდგენა

უშ. ჩხეიძე (რესპ. სახ. არტ.)

გიორგი სააკაძე

ტრაგედია 4 მოქმ. და 10 სურათად

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

სალარო ღიაა დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე ბილეთები იყიდება

დაიწყო აბონემენტების ღირებულების მორიგი შემოსატანის მიღება. აბონენტები, რომელთაც გადახდილი არ ექნებათ მორიგი შემოსატანი, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი

პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი

სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები

10 სექტემბერს მე-5 აბ. — ურთიერთ სიყვარული

11 სექტემბერს მე-3 აბ. მე-9 წარმ. — ბოშათა ბარონი

ღია ესტრადა

10, 11 სექტემბერს ლენინგრადის ესტრადის მსახიობთა

საღამო კონცერტი

დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 10 საათზე.

14, 15 სექტემბერს დიდი საღამო-სეირნობა. თვალი ადევნეთ აფიშებს.

ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის ბილეთებით.

დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ასპირანტურაში მიღება გრძელდება

მიმდინარე სასწავლო წელს ინსტიტუტი მიიღებს ასპირანტებს შემდეგი საგნების მეთოდიკებში: ა) ისტორიის, ბ) ქიმიის, გ) მათემატიკის დ) უცხო ენის და ბიოლოგიის.

1. საასპირანტო გამოცდებზე დაშვებული იქნებიან უმაღლეს სასწავლებელთკურსდამთავრებულნი, ასაკით არა უმეტეს 40 წლისა.

2. საასპირანტო გამოცდებზე დასაშვებად განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენილი იქნას შემდეგი საბუთები: ა) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, ბ) ავტობიოგრაფია, გ) ცნობა პედაგოგიური სტაჟის (არანაკლებ სამი წლისა) შესახებ, დ) დახასიათება იმ დაწესებულებიდან, სადაც უკანასკნელ დროს მუშაობდა, ე) სამი შემოწმებული ფოტოსურათი, ვ) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ.

3. ასპირანტურაში შემსვლელი აბარებს გამოცდებს (უმაღლესი სასწავლებლის კურსის მოცულობით): ა) სპეციალურ საგანში (რა საგნის მეთოდიკაშიც სურს მუშაობა), ბ) მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებსა, გ) რუსულ ენასა და დ) ერთერთ უცხო ენაში (გერმანული, ფრანგული ან ინგლისური).

განცხადებების მიღება გრძელდება 23 სექტემბრამდე.

გამოცდები იწარმოებს 25 სექტემბრიდან.

მეცადინეობა დაიწყება 5 ოქტომბერს.

განცხადება მიიღება ყოველდღე ინსტიტუტის კანცელარიაში, თბილისი, კოლხიდის ქ. № 1.

ასპირანტები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწ. სტიპენდიით თვეში 400 მანეთის რაოდენობით.

ამასთანავე ინსტიტუტი აცხადებს, რომ მიმდინარე წლიდან ინსტიტუტში იწარმოებს გამოცდები ყველა ძირითად სასწავლო დისციპლინის მეთოდიკებში საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებისათვის. მსურველთ დაწვრილებითი პირობების გაგება შეუძლიათ ინსტიტუტში.

დაწყებითი და საშუალო სკ. სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში—**დ. ლორთქიფანიძე.**

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სეზონის გახსნა

10 სექტემბერს 1 აბ. 1 წარმ.
11 სექტემბერს მე-3 აბონ. 1 წარმ.
12 სექტემბერს მე-2 აბ. 1 წარმ.

პრემიერა

ს. შანშიაშვილი (ხელოვნ. დამსახ. მოღვაწ ორდენოსანი)

გიორგი სააკაძე

ისტ. დრამა 5 მოქმედებად და 9 სურათად

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12-დან საღ. 9 საათამდე.

დაიწყო აბონემენტების ღირებულების მეორე შემოსატანის მიღება. აბონენტები, რომელთაც 10 სექტემბრის დღ. 2 საათამდე არ ექნებათ გადახდილი აბონემენტის მეორე შემოსატანი, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

3—2 150 დირექცია.

ვენერა გიორგის-ასული და ალექსანდრე სამსონის-ძე ლეჟავა შვილებით გურამით და თემურით იუწყებიან დამსახურებულ პედაგოგის

ნიკო შაფაქიძის

გარდაცვალებას. 7778

მ. ხუჭუა, კ. დაფქვიაშვილი, თ. შათირიშვილი, მ. ცაბაძე, ს. ულიავა რ. ფურცელაძე, ზ. მაისურაძე, ლ. სირბილაძე, ვ. მჭედლიშვილი იუწყებიან მეგობრის

ჟენია სანზურის

გარდაცვალებას. 7789

სტომატოლოგიური ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტები ათაბეგოვა, ახვერდიანი, ბაქრაძე, იაკობაშვილი, კაჭარავა, კაკულია, კოჩიევა, ე. და ძ. ნადირაძეები, ხომერიკი, ჯინჭარაძე იუწყებიან

ნათელა ევგენის-ასულ ლაშხიას

გარდაცვალებას. 7793

უახლოესი მეგობრები ნიტა ტაბიძე, ოინა მიქელაძე, მარიკა აბაშიძე იუწყებიან ნინოს დედის

ეკატერინე ულენტის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/IX 6 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე. 7780

მშობლები ნიკოდიმოსი, თამარ, ძმა თამაზ, ბებია ბაბილინე, ბიძა ნიკარონი, სიძე იონა, მამიდები მარუსა, შუშანიკა იუწყებიან პატარა

ნანული ყუბანეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/IX სამტრედიაში. 7781

დედა ფეროზა, და ლოლა, სიძე პიმენ პირველი შვილებით, ბიძები პოლია და ლატო ცოლშვილით, მამიდები კასანია, ფედოსია ქმარშვილით იუწყებიან

ლულულა ინუქიძის

გარდაცვალებას. 7788

მამა გიორგი, დედა მარიამი, შვილები მერაბი, იზა, პაპა ისაკო, ბებია ეკატერინე მოსაშვილები იუწყებიან ძვირფას

თაზოს

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 სექტემბერს საღ. 6 ს. მე-4 ახალშენი № 13 (საბურთალო).

თბილისის მე-8 საშუალო სკოლის დირექცია და პედ. პერსონალი იუწყებიან ლუბა წივწივაძის ქმრის, დამსახურებული მასწავლებლის

ნიკოლოზ ივლიანეს-ძე შაფაქიძის

გარდაცვალებას. 7756

ალექსანდრე, ანასტასი, საშა, იაშა, სერიკო, ლუბა, თამარ, ვერა, სოკრატ გილები, სიძეები ნიკო კაციტაძე და მიშა აივაზაშვილი შვილებით იუწყებიან

ჟენია სანზურის

გარდაცვალებას. 50

შვილი ჰიჭიკო, რძალი ლენა, შვილიშვილები ალიოშა და გოგოლა შენგელაიები იუწყებიან

ეშო დუტუს-ასულ შენგელაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/IX ქ. ზუგდიდში. 7784

შვილი ელიკო ლოლაძე, დისწული ზაქარია მწყერაძე ცოლშვილით იუწყებიან

ალექსი გრიგოლის-ძე ლოლაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 10/IX 6 ს. ქალ. I საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზე. 7785

მერვე საშუალო სკოლის მასწავლებლები: დარახველიძე, ქუთათელაძე, ჩიჯავაძე, კალანდაძე, შავდია, ოკუჯავა, კუპაიძე, მუჯირი, გიგაშვილი, კვასხაძე, საყვარელიძე, ვადაჭკორია იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის

ნიკო შაფაქიძის

გარდაცვალებას. 7783

მშობლები ზინა და ტერენტი, ბებიები, ბაბუა, დეიდები. მამიდა და ბიძები იუწყებიან პატარა

როლანდ ტერენტის-ძე არევაზოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება 10/IX, 5 ს. გოგოლის, № 62. 7794

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მუშაკები ივ. ფრანგულაშვილი, ნ. პატარაია, ა. იმნაძე, ი. ჩხაიძე, ი. მოისწრაფეშვილი, ლ. გვარჯალაძე, ქ. ლაღიძე თანაგრძნობას უცხადებენ სერგო ბუაძეს მისი შვილის

პატარა ნათელას

გარდაცვალების გამო. 7790

წყალსადენის ავტობაზის თანამშრომლები იუწყებიან ოთარ ტრაიმანის ძმის

რაულ კონდრატის-ძე ტრაიმანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/IX 5½ ს. ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება 6½ ს. კუკიის სასაფლაოზე. 7792

მეზობლები, ანიკო, ცუცა ჯაფარიძეები, სოლოღაშვილი ოჯახით, კალაშიანი, შალამბერიძე, ბარბაქაძე, კირკიტაძე, კალანდარიშვილი, დიაროვა, აგაჯანოვი, ციკობაძე, სეიც, მერკვილაშვილი იუწყებიან თამარ ტრაიმანის შვილის

რაულის

გარდაცვალებას. 779

მშობლები თამარ, ვარლამ, ძმა რამაზ, ბიძა ბიქტორ იუწყებიან პატარა

გივი სანაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 10/IX 6 ს. დავითაშვილის, 8. 7795

ლილი ლეჟავა და ვასო შენგელია შვილით ნოდარით იუწყებიან ბიძის, დამსახურებული პედაგოგის

ნიკო შაფაქიძის

გარდაცვალებას. 7758

სახუნტის გეოლოგიისა და მინერალოგიის კათედრების თანამშრომლები იუწყებიან ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკის

ევგენია სანზურის

გარდაცვალებას. 7761

ბასილ ქრისტეფორეს-ძე ციცქიშვილი მეუღლით თამარით და შვილით გიათი იუწყება

ეკატერინე ნიკოლოზის-ასულ ულენტის

გარდაცვალებას. გამოსვენება 10/IX 6 ს. ძნელაძის, 18. 7787

დედა მარიამ, და მარგარიტა, ძმები სერგო, გრიშა, სიძე ტიგრან მარცვალოვი, რძლები იუწყებიან

გიორგი ალექსანდრეს-ძე არზუხანოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/IX 8 ს. მამაცაშვილის 4, გამოსვენება 11/IX 6 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 7786

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. შე 1161